სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 28 აგვისტო 2003 №161 (1932) | ფასი 50 თეთრი



ᲖᲝᲗᲐ SHOT!

ᲐᲨᲕᲔᲗᲘᲐ ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲕᲝᲖᲘᲐ

0:3

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐᲗ, ᲓᲦᲔᲡ ᲐᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲥᲪᲘᲝᲜ

ᲡᲘᲝᲜᲘ — ᲞᲣᲮᲝᲕᲘ
ᲤᲝᲠᲞᲔᲓᲝ — ᲚᲐᲜᲡᲘ



ᲒᲣᲨᲘᲜ ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲨᲘᲜ ᲘᲕᲐᲠᲯᲘᲛᲔᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲘᲜᲐᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲞᲣᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲙᲘ „ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲖᲔ“

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები CHAMPIONS LEAGUE

ლოკომოტივი (რუსეთი) 3:1 **შახტარი** (უკრაინა) (0:1)
1:0, 2:0 **აშვეთია** (20, 45), 2:1 ლევანდოვსკი (71), 3:1 იგნაშევიჩი (86პ)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, ლეკხეტო, მამინოვი, ხოხლოვი, ბუჟნიკინი (ლიანდრო 65), იზმაილოვი (სენნიკოვი 88), ლოსკოვი, **აშვეთია**
გაფრთხილება: ლეკხეტო, ვუკიჩი, მამინოვი, იზმაილოვი, ოვჩინიკოვი, ბახარევი, ხოხლოვი, სრნა, ბელიკი, ნიჟეგოროდოვი
მსაჯი: ალენ ჰამერი (ლუქსენბურგი)

კოპენჰაგენი (დანია) 1:2 *რეინჯერსი (შოტლანდია)* (1:1)
0:1 **არტეტა** (52პ), 1:1 **სანტოსი** (83), 1:2 **არველაძე** (87)
რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, ბერგი, **ხიზანიშვილი**, ბოლი, **არტეტა**, ფერგიუსონი, ნერლინგერი, **არველაძე**, დე ბური, მოლსი
გაფრთხილება: ზუმა, **ხიზანიშვილი**, ლარსენი, რიკსენი, როობა, ფერგიუსონი, **არველაძე**, ნორეგაარდი

ცსკა (ბულგარეთი) 0:3 *გალათასარაი (თურქეთი)* (0:3)
0:1 **პრატესი** (28), 0:2 **საბრი** (53), 0:3 **ერდემი** (86)

აიაქსი (ჰოლანდია) 2:1დ.დ. (1:1) **გრაცერი** (ავსტრია) (1:1)
1:0 **იბრაჰიმოვიჩი** (14), 1:1 **კოლმანი** (40), 2:1 **გალაშეკი** (104)

აეკ (საბერძნეთი) 3:1 **გრასჰოპერი** (შვეიცარია) (0:1)
1:0 **კაცურიანისი** (21), 2:0, 3:0 **ლიბეროპულოსი** (25, 40), 3:1 **ნუნეზი** (68)

დორტმუნდი (გერმანია) 2:1 (2:4პენ) *ბრიუგე (ბელგია)* (1:2)
1:0 **ამორუზო** (4), 1:1 **მენდოსა** (27), 2:1 **ევერტონი** (86)

დინამო (ხორვატია) 0:2 *დინამო (უკრაინა)* (1:3)
0:1 **შაცკიხი** (46), 0:2 **რინკონი** (70)

სელტიკი (შოტლანდია) 1:0 **მტკ** (უნგრეთი) (4:0)
1:0 **სატონი** (14)

სლავია (ჩეხეთი) 2:0 *სელტა (ესპანეთი)* (0:3)
1:0 **დოშტალეკი** (18), 2:0 **ჰრდლიკა** (30)

ნიუკასლი (ინგლისი) 0:1 (3:4პენ) *პარტიზანი (სერბეთი)* (1:0)
0:1 **ილიევი** (50)

მარსელი (საფრანგეთი) 0:0 **აუსტრია** (ავსტრია) (1:0)

ბენფიკა (პორტუგალია) 0:1 *ლაციო (იტალია)* (1:3)
0:1 **სუზარი** (28)

ლოკომოტივი — შახტარი. მიხეილ აშვეთიამ თავი არ დაზოგა და ორი თავურით „ლოკომოტივი“ ლიგის ჯგუფში შეაჩუჩუქა

ინგლისი

პრემიერლიგა. III ტური

არსენალი 2:0 **ასტონ ვილა**
ლივერპული 0:0 **ტოტენჰემი**
მანჩესტერი 1:0 **ვულვერჰემპტონი**

I დივიზიონი. IV ტური

ძოვენთრი 1:3 **ნოტინგემი**

ესპანეთი

სუპერთასი
საპასუხო მატჩი

რეალი 3:0 **მალიორკა** (1:2)

ნორვეგია

თასის მეოთხედფინალი

ბოდიო გლიმტი 3:0 **ალესუნდი**
ტრომსიო 2:0 **რაუფოსი**
ვოლერენგა 1:3 **სკეიდი**

გერმანია

ბუნდესლიგა. IV ტური

ჰანოვერი 3:3 **ჰანზა**

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. V ტური

ვატენშაიდი 4:2 **კილი**
ბრაუნშვაიგი 1:0 **ესენი**

უეფას თასი

UEFA CUP საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები UEFA CUP

ქენისი (ყაზახეთი) 1:3 *ჟიჟკოვი (ჩეხეთი)* (0:3)
ატლანტასი (ლიტვა) 1:4 *გროცლინი (პოლონეთი)* (0:2)

მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი (ფინეთი)

FIFA

ნახევარფინალი

ბრაზილია 2:0 **კოლუმბია**
არგენტინა 2:3დ.დ. (2:2) **ესპანეთი**

არველაძემ და ხიზანიშვილმა ლიგა ჰაერში დალოცეს

შოთა არველაძემ საამსე ზონოდ ნომერი შეიცვალა — 24-ის მაგივრად 7 დაიწერა. „შვიდიანი ჩემი საყვარელი ნომერია, „ტრაბზონსფორში“ ამ ნომრით ვთამაშობდი და მე თვითონ მოვითხოვე ის „რეინჯერსში“ — გვითხრა ტყუპისცალმა არველაძემ, რომლის 87-ე წუთზე გატანილი გოლი გუშინ გადამწყვეტი აღმოჩნდა კოპენჰაგენში და ორქართველა „რეინჯერსიც“ ჩემპიონთა ლიგაშია.

შოთას ნამატჩევსვე დავუკავშირდით კოპენჰაგენში — ძალიან დაძაბული თამაში იყო, მეორე ტაიმი უკეთ ვითამაშეთ. „კოპენჰაგენს“ ერთადერთი საგოლე შანსი ჰქონდა, ისიც შემთხვევით შექმნილი და გაიტანა.

— შენ როგორი გოლი შეაგდე?

— კრისტიან ნერლინგერმა ჩამოაწოდა, ბურთი მეტოქე მცველს თავზე გადაეკლო და დაახლოებით ხუთი მეტრიდან მიწაზე დაუშვებლად მყისვე კარში დავარტყი — არცთუ ისე იოლი გასატანი იყო.

— თავდასხმაში შენ და მიხაელ მოლსმა ითამაშეთ?

— მე მარცხენა გარემარბი ვიყავი. მოლსი წინ მარტო იყო, მაგრამ როცა მის მაგივრად სტივ ტომპსონი შემოვიდა, მე ცენტრფორვარდად დავიწყე თამაში და გოლიც შევაგდე.

— შენ და ზურაბ ხიზანიშვილი რისთვის გაგაფრთხილეს?

— მე მეტოქე რომ ჯარიმას ურტყამდა, ბურთთან ახლოს მივედი და ხელი შევუშალე. ხიზანიშვილი კი თავის მეურვე სიბუსისუ ზუმას წაეჩხუბა — ზუმა სასტვენის შემდეგ ფეხზე დაახტა ზურას და „ხიზანამაც“ ვერ აიტანა ეს — მსაჯმაც ორივე გააფრთხილა. ისე, ხიზანიშვილმა ძალიან ძლიერად, პროფესორივით ითამაშა, ზუმას ფეხი არ გაანძრევინა.

— ალექს მაკლიშმა თამაშის შემდეგ რა გითხრა?

— რაღა უნდა ეთქვა?! გადამეხვია. კლუბის ხელმძღვანელობაც ძალიან გახარებულია — ფაქტობრივად, ერთ თამაშში მილიონები იშოვეს. ახლა აეროპორტში მივდივართ, თვითმფრინავში მაგრად მოვილხენთ.

დავით თავართქილაძე

REUTERS ამსტერდამიდან

ააიაქსი — გრაცერი. რენე აუფჰანგერს ტომაშ გალაშეკი მაინც გაექცა

REUTERS მადრიდიდან

„რეალმა“ „მალიორკას“ სუპერთასი არ დაანება

UEFA CUP

სიონი — პუხოვი

უეფას თასის სატვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი ბოლნისი. თემურ სტეფანია. 17.30

ჰა, ისტორიული მომენტიც. პატარა ბოლნისი ევროპულად სუნთქავს. დღეს მთელი საქართველო მარიამობას ზეიმობს. ქვემოქართლის ერთი პატარა კუთხისთვის კი ეს დღე ორმაგად გამორჩეულია. ბოლნისი თავის პირველ ოფიციალურ საერთაშორისო მატჩს უმასპინძლებს. „სიონს“ მეტად რთული და ერთი შეხედვით შეუძლებელი საქმე აკისრია. — „პუხოვს“ სლოვაკური 0:3 უნდა შეუტრიალოს. საშუალო დონის, გამართულ ევროპულ კლუბთან ამგვარი ფორის ამოქაჩვა მართლაც სასწაული იქნება, მაგრამ „სიონს“ იმის იმედი აქვს, რომ დღევანდელი დღე სწორედ სასწაულისაა.

ბაბრი ჯიბლაძის ფოტო

სიონი ისტორიაში წავიდა

მოიცლოცეს, რათა მიულოცონ

ბოლნისელები ევროპული დროით მუშაობენ. პატარა ქალაქში მართლაც ყველაფერი იდეალურადაა გაკეთებული სლოვაკთა სამასპინძლოდ. სტადიონის ტრიბუნები სექტორებადაა დაყოფილი, ტაბლოც იდეალურად ჩაჯდა კოხტად გაწყობილი სტადიონის ხედში. ჟურნალისტთათვის კომპიუტერით და ფაქსით ნორმალური პირობებია შექმნილი სამუშაოდ.

„სიონი“ სამშაბათიდან შეკრებაზე და გამალებულ სამზადისშია. თემურ მახარაძის გუნდმა გუშინ გენერალური რეპეტიციაც მოაწყო შინაურ კედლებში.

მახარაძემ გუშინ ექვსის ნახევარზე შეკრიბა სამწყსო და სიქა გაიცალა ფეხბურთელებს. სადღეისოდ საეჭვო ჩანდა გაბიდაურისა და ბაქრაძის თამაში. მათ კოჭი ჰქონდათ ნაღრძობი, მაგრამ გუშინ მაინც ბოლომდე დაიხარჯნენ და შესაძლოა, სასტარტო შემადგენლობასაც გაყრდენ ძალას. გაბისკირია მხოლოდ ძუნძულს დააჯერეს, რათა დღევანდელ შეხვედრას დასვენებულ-მომზადებული შეხვდეს. სხვებმა კი დიდი ჟინით ივარჯიშეს. ცეცხლი აქვს „სიონს“ შენთებული. ფეხბურთელები თითქოს რობოტებივით არიან, ყველა დღევანდელი დღით ცოცხლობს და მხოლოდ ერთი მისია აკისრიათ — „პუხოვის“ ძლევა.

— მოვიგებთ, უეჭველად მოვიგებთ, ჩვენ დიდი შრომა ჩავდეთ საამმატჩოდ და გარჯა უთუოდ დაგვიფასდება — ამბობს ბოლნისელთა ფოთელი მცველი გელა ფანჩულიძე.

— მოგების გარდა არაფერი მიტრიალებს თავში. ჩვენ ვალდებული ვართ, ქომაგს სიხარული ვაჩუქოთ და ამას გავაკეთებთ — სჯერა იური გაბისკირიას. სხვათა კომენტარის გადმოცემას აზრი არა აქვს, ყველა ერთნაირად არის დამუხტული და თითოეულის აზრი ერთია — „სიონი“ გამარჯვებაზე ფიქრობს, საკითხავი მხოლოდ ის არის, გასწვდება თუ არა ეს გამარჯვება ორი მატჩის ჯამს.

თემურ მახარაძემ ყველაზე უკეთ იცის, რას წარმოადგენს „პუხოვი“, ამიტომაც ქვემოქართლელთა გამოცდილმა მწვრთნელმა კონკრეტული არაფერი გვითხრა.

— ჩვენ შევუტევთ, მაგრამ დაცვაშიც ფრთხილად უნდა ვიყოთ, მეტოქის ერთი გოლი დაგვშლის და მოტივაციას გაგვიქრობს, ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებსო, თქვა „სიონის“ თავკაცმა.

გუშინდელ ვარჯიშზე მახარაძემ შეტევის სხვადასხვა ფაზა დაამუშავებინა ფეხბურთელებს. ყველა ბოლომდე, გულდაგულ დაიხარჯა და ამის გარეშეც ჩანდა, რომ საამმატჩო განწყობა საბრძოლოა. ფეხბურთელთა სიტყვებში აშკარად იგრძნობა, რომ „პუხოვთან“ მატჩი თითოეული სიონელისთვის გარკვეული შანსია და ყველა ეცდება ამის გამოყენებას.

მახარაძის თანაშემწე, ექსსიონელი გიორგი ყიფშიძე მეტოქის ფიზიკურ შესაძლებლობებს ჩაუფიქრებია, თუმც მასაც სწამს, რომ მისი გუნდი გაიმარჯვებს. — „პუხოვს“ ათლეტური, მაგრამ სხარტი ფეხბურთელები ჰყავს, გუნდი საგანმუშოდ არის შეთამაშებული, სწრაფად ძალუძს ტაქტიკური გადაწყობა და თუ მოვდუნდით, დიდ პრობლემებს გაგვიჩენენ, მაგრამ მე ჩვენების ჟინისა მწამს. ამის გარდა „პუხოვს“ ჯოჯოხეთი დახვდება ბოლნისურ სარბიელზე. გულშემატკივრები შუადღიდან შეიკრიბებიან სტადიონზე, უჩვეულოდ დამუხტულნი არიან და მათი მხრიდან კარგი დღე არ დაადგებათ სლოვაკებსო, გვითხრა გიორგი ყიფშიძემ.

ქომაგი ვახსენეთ და აქვე ვთქვათ: დღევანდელ მატჩზე ბილეთი სამი ლარი ღირს, მაგრამ ათმაგი რომ გადიხადოთ, მაინც ვერ იშოვით, რადგან ყველა გაყიდულია — თითოეულ ბოლნისელს სურს ამ ისტორიული მატჩის მნახველი გახდეს. დასაჯდომი 3 500 ბილეთის გარდა ბოლნისელებმა დასადგომი 300-იც გაინაწილეს. კარსუკანა ტრიბუნებს კი ისეთი გულშემატკივრები შეავსებენ, აქამდეც რომ არაერთი მატჩი მოუგიათ ჟინიანი ქომაგობით. პუხოვის მცველებს და მეკარეს სისხლს გავუშრობთო, იმუქრებიან ქვემოქართლელები.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ბოლნისური სარბიელი გუშინდელი ვარჯიშის წინ მღვდელმა აკურთხა, დღეს დილით კი ფეხბურთელები სიონის უძველეს ტაძარს მოილოცავენ. „სიონი“ — „პუხოვი“ ექვის ნახევარზე დაიწყება.

პაატა კვანტალიანი

შევარდენზე შევარდნაძე და ძველი ჩაი მოგვიკითხეს

რძე და კაკაო, ანუ რატომ დარბის პუხოვი მაგრად

სლოვაკური „პუხოვი“ აეროპორტიდან მყის სავარჯიშოდ გაეშურა — ბოლნისელთა მეტოქემ ჯერ „შევარდენის“ სტადიონი დაქაცვა და მერელა დაბინავდა „მარიოტში“.

სლოვაკთა დელეგაცია ხალხმრავალი არ არის. მწვრთნელ-ფეხბურთელების გარდა „პუხოვს“ რამდენიმე მენეჯერი ახლავს, პრეზიდენტი კი სამშობლოში დარჩა:

სტუმრებმა პირველ რიგში ის იკითხეს, უსაფრთხოდ თუ ვიქნებით თბილისსა და ბოლნისშიო. შემდეგ სხვა ჩვენებური ამბების მოყოლაც გვთხოვეს. მოკლედ, ბევრი წვრილმანი გამოგვკითხეს.





ბაბრი ჯიბლაძის ფოტო

შტეფან ზატკო და მარიო ბრეშკა

„პუხოვის“ პრესატაშე მაიკ ჰოლეშაკს კი თურმე წიგნებიც გადაუშლია, რათა საქართველოზე ამოეკითხა. თუმც პატივცემულ მაიკს ძირითადად საქართველოს საბჭოთა ერაზე წაუკითხავს, მათ შორის ჩაის წარმოებაზეც. თანამედროვე ამბებს აქეთ გვეკითხებოდა, მაგრამ ერთი რამ მაინც სცოდნია — ვიცით, რომ ქართველებს თქვენი ქვეყნის პრეზიდენტი არ გიყვართო.

რაც შეეხება სლოვაკ ჟურნალისტებს, ისინი ოდენ სამნი იყვნენ, ყველანი მეგაზეთეები.

წვრთნა „პუხოვისა“ მსუბუქი იყო. შეიძლება ითქვას, რომ სლოვაკებმა გამამხნევებელი ვარჯიში ჩაატარეს, თუმც მიწურულში ორკარა გააჩალეს, ბოლოს კი საგანგებოდ ივარჯიშეს კუთხურების ჩაწოდებაში. სხვათა შორის, ორკარაში „პუხოვის“ მთავარი მწვრთნელი შტეფან ზატკო და მისი თანაშემწეც ბურთაობდნენ შეგირდებთან ერთად.

ნავარჯიშევს ჰოლეშაკის ხელშეწყობითა და თარჯიმნობით „პუხოვის“ მთავარსარდალსა და ფორვარდ მარიო ბრეშკას რამდენიმე შეკითხვა დავუსვით. ალბათ, გახსოვთ, რომ ბრეშკამ სლოვაკეთში „სიონს“ ორი გოლი გაუტანა — ის 23 წლის გახლავთ, თავის დროზე ახალგაზრდულ ნაკრებში უთამაშია და ახლა ეროვნულის კანდიდატად ითვლება.

შტეფან ზატკო, *„პუხოვის“ მთავარი მწვრთნელი*

— პირველი მატჩის პირველი ტაიმი ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. მეორე ტაიმში ჩვენ უკეთ გამოვიყურებოდით. მატჩის მიწურულს კი „სიონს“ თითქოს ძალა გამოელია, ჩვენ მეტოქეს ფიზიკურ მომზადებაში ვაჯობეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ — 3:0 ლოგიკური შედეგი გახლდათ.

— ბოლნისურ მატჩზე რას იტყვით?

— ძნელი თამაში იქნება, მაგრამ ჩვენ უკეთეს სიტუაციაში ვართ და დიდი იმედი მაქვს, რომ შემდეგ ეტაპზე გავალთ.

— პირველ მატჩში „სიონიდან“ რომელი ფეხბურთელი მოგეწონათ?

— ცენტრალური მცველი, რომელიც თანაგუნდელებს კარგად აზღვევდა — ის ალბათ გამოცდილი მოთამაშეა.

— ქართულ ფეხბურთზე რა ინფორმაცია გაქვთ?

— არანაირი. მხოლოდ ერთი მატჩის ვიდეოჩანაწერს ვუყურე „სიონის“ მონაწილეობით.

მარიო ბრეშკა

— „სიონთან“ პირველ მატჩში მეტოქეზე მეტი სახიფათო მომენტი შევქმენით და გამარჯვება ჩვენ გვეკუთვნოდა.

— „სიონის“ წინააღმდეგ უფრო იოლი იყო თამაში სლოვაკურ გუნდებთან შედარებით?

— დიდი სხვაობა სულაც არაა. რაც შეეხება გოლების გატანას, სლოვაკური გუნდების წინააღმდეგ ეს უფრო რთულია, რადგან ისინი კარგად მიცნობენ.

— ნავარჯიშევს „პუხოვის“ თითქმის ყველა ფეხბურთელი შოკოლადს მიირთმევთ — ეს თქვენთვის სავალდებულოა?

— უბრალოდ, ყველა მოთამაშეს გვირიგებენ ხოლმე ტკბილეულს ვარჯიშის და თამაშის შემდეგ, მაგრამ მივირთმევთ თუ არა მას, ეს უკვე ჩვენი საქმეა.

— ბოლნისური მატჩის თქვენეული პროგნოზი...

— რთული მატჩი იქნება, მაგრამ ალბათ ფრედ დამთავრდება.

— „პუხოვის“ ძალა და უპირატესობა რაშია?

— ჩვენს ძალას პირველ რიგში ფიზიკური მომზადება განაპირობებს.

დავით თავგართქილაძე

ტორპედო — ლანსი

ŠK MATADOR

UEFA CUP

უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპი. საჰასუხო მატჩი ქუთაისი. ტორპედო. 20.00

გუშინ, საღამოს ხუთის ნახევარზე, ქუთაისის მახლობლად, კოპიტნარის აეროპორტში თვითმფრინავი დაეშვა — რიონისპირა ქალაქს ფრანგული „ლანსი“ ესტუმრა. უეფას თასის პირველი ეტაპის პირველ მატჩში ქუთათურების 3:0 დამმარცხებელი ფრანგები ძირითადი შემადგენლობით ჩამოვიდნენ საქართველოში. სიკორა, სონგი, ბუბა დიოპი, უტაკა და ძმანი მათნი „ტორპედოს“ სტადიონზეც გააგორებენ ბურთს

ამდენი შავი ქუთაისსაც არ უნახავს

რა გვინდა? აქ არშერცხვენა

ასეთი რანგის მეტოქის სტუმრობა ქუთაისში არც ახსოვთ. შარშანწინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შეყრილ დანიურ „კოპენჰაგენს“ თუ არ ჩავთვლით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლანსი“ ყველაზე ძლიერი მეტოქეა ქუთაისის „ტორპედოს“ ისტორიაში.

აეროპორტში ფორმალური მხარის მოსაგვარებლად ფრანგებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ, ღიმილიანი სახით ჩასხდნენ ავტობუსში და მალე საღორიაზე, „ტორპედოს“ საწვრთნელ ბაზაზე ამოყვეს თავი. „ლანსი“ სწორედ იქ დაბინავდა. სტუმრები ამის შესახებ წინასწარვე იყვნენ შეთანხმებულნი მასპინძლებთან.

19 საათზე „ლანსმა“ „ტორპედოს“ სტადიონს მიაშურა და წინასამატჩოდ ბოლოჯერ ივარჯიშა. მსუბუქი წვრთნა ჟოელ მიულერმა მალევე დასრულა.

აქვე იმ ფეხბურთელთა სიას გაგაცნობთ, რომლებიც მიულერმა „ტორპედოსთან“ სათამაშოდ ქუთაისში ჩამოიყვანა:

მეკარეები: იტანყე, შაბერი;
მცველები: ბაკი, ფანი, ჟაბი, ლაშორი, რული, სიკორა, სონგი;
ნახევარმცველები: დიანე, ჰ. ბ. დიოპი, ფაიე, კეიტა, სარი, ტომერი;
თავდამსხმელები: ბაკარი, მორეირა, უტაკა.

ფრანგებს სამი ფეხბურთელი აკლიათ — ბუდენი, კულიბალი და როდრიგესი ტრავმებმა დატოვა ლანსში. ამათგან როდრიგესს ქუთაისში ჩამოსვლის მეტი შანსი ჰქონდა, მაგრამ, ექიმების თქმით, მისი თამაში ჯერ მაინც სარისკოა.

ძახა შალამბერიძე



ზვიად სტურუას არც ქუთაისში მოაკლდება ფრანგთა იერიშები

„ლანსის“ შემდეგ ქუთაისის მთავარი სარბიელი „ტორპედომ“ დაიკავა. სოსო ფრუიძის შეგირდებმა მატჩის დაწყების დროს, 20 საათზე დაიწყეს ვარჯიში. მწვრთნელის გასახარად დღეს შესაძლოა რომან ახალკაცმა და შოთა ბაბუნაშვილმაც ითამაშონ, რომელთაც ტრავმები აწუხებდათ. თავიდან თითქოს ორივე ფეხბურთელის თამაში გამორიცხული იყო, მაგრამ გუშინ რომანმაც და შოთამაც გუნდთან ერთად ივარჯიშეს. მცირე ტრავმა მოიშუშა კახა კვეტენაძემაც.

— პოროშინის გარდა ყველა ჯანმრთელადაა. მათი თამაში უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. ასე რომ, „ლანსს“ ძირითადი შემადგენლობით დავუხვდებით. გუნდში საბრძოლო განწყობაა და იმედია, თავს არ შევირცხვენთ — გვითხრა გუშინ „ტორპედოს“ უფროსმა მურად ქუთათელაძემ.

უკრაინელი პოროშინი კი, ალბათ, კარგა ხანს ვერ დაეხმარება გუნდს. მას ჯვარედინი მყესები აქვს დაჭიმული და ახლა სამშობლოში მკურნალობს. თუმც ანდრის არყოფნას ქუთათურები უკვე შეგუებულნი არიან.

ცხადია, ქუთაისში შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი არავის აქვს. სამბურთიანი სხვაობის გაბათილება, მით უმეტეს, „ლანსთან“, ცისფერ ოცნებებშიც კი არ ჩანს. ახლა რიონისპირელებისთვის მთავარი თავის არშერცხვენაა. შედეგი ჩვენთვის ღირსეული უნდა იყოსო, იქადნებიან ქუთათურები.

ძახა შალამბერიძე

სად ქართველო?

Coca-Cola

FIFA WORLD RANKING

1	1	ბრაზილია	846	15	12	დანია	707
2	2	საფრანგეთი	825	16	16	პორტუგალია	686
3	3	ესპანეთი	748	17	17	კოსტა რიკა	680
4	4	ჰოლანდია	746	18	18	ბელგია	672
4	5	მექსიკა	746	19	21	რუმინეთი	664
6	6	არგენტინა	744	20	19	შვედეთი	658
7	7	თურქეთი	739				
8	10	ინგლისი	733	38	32	რუსეთი	610
9	9	აშშ	731				
10	8	გერმანია	728	40	40	შვეიცარია	598
11	14	იტალია	721				
12	11	ჩეხეთი	712	89	87	ალბანეთი	458
13	15	ირლანდია	710				
13	12	კამერუნი	710	91	88	საქართველო	455

I გრაფა — ადგილი, II — ადგილი წინა თვეში, III — ქვეყანა, IV — ქულა

ლოგიკურად, მსოფლიოში რამდენი დალმართიცაა, იმდენი ალმართია. თუმც საქართველოს ალოგიკური ნაკრები სხვაგვარად ფიქრობს. ჩვენი ეროვნული გუნდისთვის მნიშვნელობა არა აქვს თამაშობს თუ არა, გზა მაინც ცნობილია — ქვევით და ქვევით.

ფიფა-კოკა კოლას ყოველთვიურ რეიტინგში საქართველოს ნაკრებს, ცოტაც უკლია და, თავს მეორე ასეულში ამოჰყოფს. აგვისტოს მონაცემებით „შინდისფერები“ 91-ე ადგილზე არიან, რაც წინა თვის მაჩვენებელზე სამი საფეხურით უარესი შედეგია.

ზემოდან დაგვყურებს ევრო 2004-ის მეათე ჯგუფში ჩვენი ოთხივე მეტოქე, მათგან ყველაზე მეტად რუსეთმა იზარალა — 38-ე ადგილამდე დაქვეითდა.

ყველაზე დიდი ნახტომი კი ერაყსა და უზბეკეთის ნაკრებებს აქვთ. მათ 8 საფეხურით აინაცვლეს ზემოთ. აი, უარესი მაჩვენებლის მქონე ქვეყნის მოსაძებნად კი შორს წასვლა არ გვჭირდება — მეზობელი აზერბაიჯანი 15 ნაბიჯით ჩამორჩა ივლისს და ახლა 120-ე ადგილზეა.

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის
სპორტული ფორმის
(ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ,
თქვენი სურვილისამებრ,
გნებავთ, თქვენს
მიერ კატალოგში
შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ
მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში



სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ

CHAMPIONS LEAGUE ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲢᲩᲐᲕ. ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ CHAMPIONS LEAGUE

ᲡᲞᲐᲠᲢᲐ (ᩩᲔᲩᲔᲗᲘ) 2:2 **ᲕᲐᲠᲓᲐᲠᲘ** (მაკედონია) (3:2)
0:1 გეორგიევსკი (30), 1:1 პობორსკი (34), 1:2 ანანვი (67), 2:2 სიონკო (83)

ᩩᲔᲚᲡᲘ (ინგლისი) 3:0 **ᲫᲘᲚᲘᲜᲐ** (სლოვაკეთი) (2:0)
1:0 ჯონსონი (36), 2:0 ბეთი (67), 3:0 ჰასელბაინკი (78)

ᲕᲘᲡᲚᲐ (პოლონეთი) 0:1 *ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ (ᲑᲔᲚᲒᲘᲐ)* (1:3)
0:1 დინდანე (85)

ᲓᲔᲞᲝᲠᲢᲘᲕᲝ (ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ) 1:0 **ᲠᲣᲡᲔᲜᲑᲝᲠᲒᲘ** (ნორვეგია) (0:0)
1:0 ლუკე (16)

ᲐᲑᲠᲐᲰᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲙᲝᲛᲒᲐᲝᲜᲘ

REUTERS ᲙᲠᲐᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ

ვისლა — ანდერლეხტი. მარიუშ ჟოპმა ბელგიელი ვალტერ ბასეჯიო შეგოჰა

„სტემფორდ ბრიჯზე“ რომან აბრამოვიჩის დათესილი ფულის პირველი მოსავალი უკვე აღებულია. „ᩩᲔᲚᲡᲘ“ ᩩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ „ᲟᲘᲚᲘᲜᲐᲡ“ გავლით შეგრიალდა.

მასპინძელთა ახალწვეულები სანამ თამაშს ააწყობდნენ, სლოვაკებმა ანგარიშის გახსნის კარგი შანსი გაანიავეს. მარტინ დურიცამ ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა მარსელ დესაი არეულობაში ბურთის მოშორება ვერ შეძლო და მიროსლავ ბარიკმა დაჰკრა. კარში მიმავალი ბურთი გზად ჩელსელი მცველის ფეხს გაეხახუნა და მინდორს გაეცალა.

ᩩᲔᲮᲕᲚᲔᲗᲐᲛ „ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ“ თავმოყვარეობაზე იმოქმედა და „ᲟᲘᲚᲘᲜᲐᲡ“ წილი მოედანი დაიპყრეს. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის კუთხურს ეიდურ გუდიონსენმა სახიფათო თავური მიაყოლა.

მოგვიანებით იესპერ გრონკიაერმა მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და ზედიზედ ორჯერ დაასაჩუქრა თანაგუნდელები კარგი პასებით. ჰასელბაინკმა დანიელის ᩩᲔᲩᲔᲓᲔᲑᲣᲚ ბურთს ორიოდ მეტრიდან უთავაზა და აცილება მოახერხა.

გრონკიაერის მეორე პასი ჯო კოულმა ვერ შეირგო, მაგრამ შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ საათში სლოვაკთა კარში გოლი მაინც გავიდა. ფრენკ ლამპარდმა საჯარიმოში ჩაჰკიდა და გლენ ჯონსონმა მოხდენილი თავურით ანგარიში გახსნა.

სლოვაკებს გაქვითვა მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეეძლოთ. დანიელ კოსმელი მასპინძელთა მცველებს დაუსხლტა, თუმც დარტყმა არ გამოუვიდა. ამ ეპიზოდს ეიდურ გუდიონსენის გაელვება მოჰყვა. ისლანდიელმა ცენტრში ბურთი მოიხელთა, მეტოქის კარისკენ გააქანა და ძელს გაარტყა.

შეცვლაზე შესულმა ემანუელ პეტიმ ზედიზედ ორი კუთხური შეასრულა და მეორე ჯერზე რობერტ ჰათმა თავით შეაგდო. „ᩩᲔᲚᲡᲘᲗᲘ“ გაილაღა და მალე მესამე გოლიც გამოცხვა. ნჯიტაპი-გუდიონსენის გათამაშებული ბურთი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა მკერდით ფეხზე დაუშვა და ეფექტური დარტყმით ანგარიში სამამდე გაზარდა.

„ᩩᲕᲔᲜ ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ „ᩩᲔᲚᲡᲘᲡᲗᲐᲜ“ ᲣᲨᲐᲜᲡᲝᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲝ ᲠᲐᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ“ — თქვა „ᲟᲘᲚᲘᲜᲐᲡ“ მწვრთნელმა.

ალბერტო ლუკეს საგოლე დავლური

„ᲕᲐᲠᲓᲐᲠᲘᲡᲐ“ და „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲡ“ საპასუხო მატჩი პრაღაში, ორი კვირის წინ სკოპიეში გამართული შეხვედრასავით უხვგოლიანი გამოდგა. მაკედონიელებმა, ისევე როგორც მოსკოვში ცსკა-სთან, თამაში კონტრშეტევებზე ააწყვეს. ეს საქმე ნამდვილად კარგად სცოდნიათ, მაგრამ ორრაუნდიან ბრძოლაში მათ კარელ პობორჟსკის შეჩერება ვერ შეძლეს.

ანგარიში დაწყებიდან ნახევარ საათში გაიხსნა. სტუმართა თავდამსხმელებისგან გვარიანად შეწუხებულმა იარომირ ბლაჟეკმა გეორგიევსკის დარტყმულს ვეღარაფერი მოუხერხა. „ᲕᲐᲠᲓᲐᲠᲘᲡ“ სიხარული სამ წუთს გაგრძელდა. პობორჟსკიმ ოციოდ მეტრიდან დაარქუხა და სხვაობა გაათანაბრა.

შესვენების შემდეგ პეტრ იოჰანმა მასპინძლები დააწინაურა, მაგრამ მსაჯმა მაკედონიელი მეკარის წინააღმდეგ წესის დარღვევა გოლამდე აღნიშნა და ჩეხებს ზეიმი გაუხუნა.

ამ ეპიზოდიდან შვიდ წუთში „ᲕᲐᲠᲓᲐᲠᲘᲡ“ ნიგერიელმა ლეგიონერმა ჩინედუ ანიანგვიუმ მცველთა დოყლაპიობით ისარგებლა და „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲡ“ კარში მეორე გოლი შეაგდო. სკოპიელებს სასურველ ანგარიშამდე ერთი გოლიღა აკლდათ და თავქუდმოგლეჯილებმა შეუტიეს. როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება, მასპინძლებმა მეტოქე კონტრიერიშზე გამოიჭირეს. პობორჟსკიმ ლიბორ სიონკოს ბურთი თავზე დაასვა და მანაც „ᲕᲐᲠᲓᲐᲠᲘᲡ“ წვალება დაასრულა.

ტრონჰეიმის „ᩩᲔᲡᲜᲑᲝᲠᲒᲘ“ 1994 წლის შემდეგ პირველად ვერ მოხვდა ᩩᲔᲩᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ, „ᲓᲔᲞᲝᲠᲢᲘᲕᲝᲛ“ კი მიჯრით მეოთხედ შეაღო რჩეულთა ლიგის კარი. ნორვეგიაში გაგორებული უგოლო ფრე ორივე გუნდს თანაბარ შანსებს უტოვებდა. მეტოქეები ფრთხილობდნენ, ზედმეტად ზურგს არ იშიშვლებდნენ და მცირე ძალებით უტევდნენ.

ერთადერთი გოლი ალბერტო ლუკემ მიითვალა. ნორვეგიელ მცველებში ეშმაკურად გაძვრა და იონსენის კარში ბურთი მოხდენილად შეაგორა.

სტუმრებს ნებისმიერი ფრე ხელს აძლევდათ, საპასუხო გოლის გასატანად მიაწყდნენ კიდეც გალისიელთა კარს, მაგრამ პირველ ტაიმში თავი ვერაფრით გამოიჩინეს. შესვენების შემდეგ კარგი საგოლე მომენტი ჰქონდა ფროდე იონსენს, რომლის დარტყმულსაც ხოსე მოლინა შესწვდა.

აქამდე „რუსენბორგის“ მწვრთნელი უბერებელი ნილს არნე ეგენი იყო, ამ სეზონში კი ტრონჰეიმელებს აგე პარეიდე წვრთნის. პირველივე უეგენო წელს „რუსენბორგს“ ᩩᲔᲩᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ დარჩა და უეფას თასზე თამაში მოუწევს.

„ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ“ შინ პირველი მატჩი 3:1 მოიგო და კრაკოვში ჩასვლისთანავე დაცვაში ჩადგა. „ᲕᲘᲡᲚᲐᲛ“ ნახევარი ტაიმი უარა სტუმართა საჯარიმოს, მაგრამ სახეირო ვერაფერი ნახა. ბელგიელთა შეტევები უფრო სახიფათო იყო. შესვენებამდე ორი წუთით ადრე არუნა დინდანე მეკარესთან პირისპირ გავიდა, გასცდა კიდეც, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი კარიდან მცველმა გამოაძრო.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა ტემპს უმატეს. ასპროცენტიანი საგოლე მომენტი „ᲕᲘᲡᲚᲐᲡ“ მესამოცე წუთზე ჰქონდა. პოლონელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა პერეირო დე სოუზამ მატია ჟურავსკი ბურთიანად საჯარიმოს ხაზთან დატოვა და მისი დარტყმული სტუმართა ᩩᲔᲩᲔᲛ მეკარემ დანიელ ზიტკამ მოიგერია.

ამ მომენტიდან „ᲐᲜᲓᲔᲠᲚᲔᲮᲢᲘ“ დაცვაში თამაში გამოასწორა და „ᲕᲘᲡᲚᲐ“ მუქთად აბურთავა. მატჩის მიწურულს არუნა დინდანეს ორი მცდელობიდან პირველი ბურთისა და ხარიხის შეხვედრით დასრულდა, მეორე კი — გოლით. უკვე მერვე სეზონია, პოლონურ გუნდს ᩩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ არ ღირსებია.

ᲒᲐᲫᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲘᲭᲝ ᲓᲐᲢᲝᲕᲔ, ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲝ!

ᲔᲠᲜᲐᲜ ᲙᲠᲔᲡᲞᲝ: ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲣᲚᲘ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲚᲝᲛᲘ



კლაუდიო რანიერი

„ᩩᲔᲚᲡᲘᲗ“ ᩩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲛᲝᲘᲬᲧᲝ: ᲯᲔᲠ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲘ ᲔᲠᲜᲐᲜ ᲙᲠᲔᲡᲞᲝᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲐ ᲝᲗᲮᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ (ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ „ᲘᲜᲢᲔᲠᲡ“ 16,8 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲔᲡ), ᲮᲝᲚᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲣᲠ „ᲟᲘᲚᲘᲜᲐᲡ“ ᲛᲝᲣᲒᲝ 3:0 ᲓᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲙᲠᲔᲡᲞᲝ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲐ.

„ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲑᲐᲓᲔᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲐᲒᲓᲝ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲣᲓᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ „ᩩᲔᲚᲡᲘᲡ“ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲛᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲙᲚᲐᲣᲓᲘᲝ ᲠᲐᲜᲘᲔᲠᲘᲛ — ᲰᲝᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘᲪ ᲡᲐᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲖᲔ ᲓᲐᲛᲘᲓᲘᲐ: ᲙᲠᲔᲡᲞᲝ ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲔᲕᲠ �გᲝᲚᲡ ᲨᲔᲐᲒᲓᲔᲑᲡ. ᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲐ, ᲗᲐᲕᲣᲠᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲗᲧᲐᲛᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲩᲔᲛᲡ ᲒᲣᲜᲓᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲡ. ᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲬᲐᲓᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲐ. ᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲚᲝᲛᲘᲐ, ᲛᲔ ᲙᲘ ᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ“.

ᲮᲚᲝᲕᲐᲙᲔᲑᲡ ᲒᲐᲥᲕᲘᲗᲕᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲐᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘᲕᲔ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲗ. ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲙᲝᲡᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲔᲚᲗᲐ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲡᲮᲚᲢᲐ, ᲗᲣᲛᲪ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ. ᲐᲛ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲡ ᲔᲘᲓᲣᲠ ᲒᲣᲓᲘᲝᲜᲡᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲗᲐᲕᲣᲠᲘ ᲛᲘᲐᲧᲝᲚᲐ.

ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲔᲡᲞᲔᲠ �გᲠᲝᲜᲙᲘᲐᲔᲠᲛᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲤᲚᲐᲜᲒᲖᲔ ᲒᲐᲘᲚᲐᲦᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲐᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲐᲡᲔᲑᲘᲗ. ᲰᲐᲡᲔᲚᲑᲐᲘᲜᲙᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲣᲠᲡ ᲘᲔᲓᲣᲠ ᲒᲣᲓᲘᲝᲜᲡᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲗᲐᲕᲣᲠᲘ ᲛᲘᲐᲧᲝᲚᲐ.

ᲛᲝᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲔᲡᲞᲔᲠ �გᲠᲝᲜᲙᲘᲐᲔᲠᲛᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲤᲚᲐᲜᲒᲖᲔ ᲒᲐᲘᲚᲐᲦᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲐᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐ ᲗᲐᲜᲐᲒᲣᲜᲓᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲐᲡᲔᲑᲘᲗ. ᲰᲐᲡᲔᲚᲑᲐᲘᲜᲙᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲣᲠᲡ ᲘᲔᲓᲣᲠ ᲒᲣᲓᲘᲝᲜᲡᲔᲜᲛᲐ ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲗᲐᲕᲣᲠᲘ ᲛᲘᲐᲧᲝᲚᲐ.

ᩩᲔᲚᲡᲘ — ᲟᲘᲚᲘᲜᲐᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲠᲜᲐᲜ ᲙᲠᲔᲡᲞᲝ ᲒᲐᲐᲪᲜᲔᲡ

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲙᲠᲔᲡᲞᲝ ᲛᲘᲔᲛᲐᲢᲐ ᲒᲣᲜᲓᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲘᲠᲘᲗ ᲐᲯᲠᲘ ᲜᲐᲧᲝᲛᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲛᲐᲨᲣᲚᲛᲔ, ᲮᲣᲐᲜ ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲕᲔᲠᲝᲜᲛᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲐᲢᲧᲝ ᲮᲔᲚᲘ.

ᲠᲐᲜᲘᲔᲠᲘ: „ᲕᲔᲠᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲡᲞᲝ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲜ, ᲕᲔᲠᲝᲜᲘ ᲙᲠᲔᲡᲞᲝᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ-ᲩᲐᲕᲐᲜᲡᲐᲪ ᲐᲣᲮᲡᲜᲘᲡ“.

ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ

გელზენკირხენელებმა ინტერტოტოს თასიც მოიგეს, უეფას თასზეც ითამაშებენ, მაგრამ ქომაგთა სტვენას ვერ ასცდნენ

ვინ და რატომ უსტვინა

ინტერტოტოს თასი

ფინალი. საპასუხო მატჩები

შალკე (გერმანია) 0:0 **პაშინგი** (ავსტრია) (2:0)
ლევან კობიაშვილს არ უთამაშია

ვოლფსბურგი (გერმანია) 0:2 *პერუჯა (იტალია)* (0:1)
0:1 ტედესკო (17), 0:2 ბერეტონი (90)
გაძევება: ტიამი (ვოლფსბურგი, 42), კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი, 90)

ვილიარეალი (ესპანეთი) 0:0 ჰერენვენი (ჰოლანდია) (2:1)

პატარა ქალაქის გუნდი „ვილიარეალი" უეფას თასზე პირველად ითამაშებს. „ყვითლებმა" ინტერტოტოს გზა დაუმარცხებლად გაიარეს და ევროსარბიელს შეუერთდნენ.

„ვილიარეალს" ჰოლანდიაში პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა. ჰოდა, „ჰერენვენი" თავიდანვე შეეცადა უპირატესობის მოპოვებას და სწრაფი გოლის გატანას. მასპინძლებმა სტუმართა მცდელობა დასაწყისშივე დაამუხრუჭეს და თავად შეუტიეს. ესპანელები მოედანზე ვაითარებას აკონტროლებდნენ, მაგრამ ნახევარი ტაიმის მანძილზე მეტოქის კარში დარტყმა ვერ მოახერხეს.

ოცდამესამე წუთზე ვიქტორმა დაჰკრა სახიფათოდ, მოგვიანებით კი ხოსე მარიმ გაისროლა შორიდან და ბურთი ხარიხას გადაავლო.

„ჰერენვენს" შესვენებამდე ერთი საგოლე მომენტიც არ შეუქმნია და ბედს შეგუებულივით გამოიყურებოდა. მეორე ტაიმში სტუმრები გამოცოცხლდნენ და რამდენჯერმე კიდეც შეაწუხეს მასპინძელი მეკარე, თუმც მატჩს თურმე უგოლოდ დასრულება ეწერა. „ვილიარეალის" გულშემატკივრები გუნდს ფეხზე წამოუდგნენ და ტაშით დააჯილდოვეს, კლუბის პრეზიდენტს კი მზლებლები ისტორიულ დღეს ულოცავდნენ.

ავსტრიაში მოგებული თამაშის შემდეგ „შალკე" ბუნდესლიგაში „ვერდერთან" შერცხვა. გელზენკირხენელი ქომაგები „პაშინგთან" სარეაბილიტაციო გამარჯვებას ითხოვდნენ. იუპ ჰაინკესმა ძირითადი შემადგენლობა გადაახალისა. თერთმეტეულში გამოჩნდნენ სამხრეთამერიკელები: ანიბალ მატელანი, დარიო როდრიგესი, გუსტავო ვარელა და ედუარდო ალკიდესი. ლევან კობიაშვილს, ნიკო ვან კერკჰოვენს და ტომაშ ჰაიტოს დასვენება ერგოთ.

პირველ ტაიმში „შალკეს" ფეხბურთელები ბევრჯერ შეცდნენ და ეს იყო მიზეზი იმისი, რომ მეტოქის მეკარე მხოლოდ სამჯერ შეაწუხეს და ერთი გოლი გაიტანეს. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს როდრიგესის თავი დაუხვდა, მეკარემ მოიგერია, როდრიგესმა მეორე ცდით გაიტანა, მაგრამ მსაჯმა მანამდე წესის დარღვევა შეამჩნია და გოლი გააუქმა.

შესკენების შემდეგ ალკიდესი ტომაშ ჰაიტომ შეცვალა და მასპინძელთა შეტევების ორგანიზაცია იკისრა. „შალკე" გამოცოცხლდა, თამაში დაალაგა და „პაშინგის" კართან ხიფათმაც იმატა, თუმც მისი დამარცხება მაინც ვერ შეძლო.

ნამატჩევს „ხუმარების" გულშემატკივრებმა „აუფ შალკე" სტვენით გააყრუეს, იუპ ჰაინკესმა კი თქვა: „ქომაგთა უკმაყოფილება სამართლიანია, მაგრამ ჩვენ ახალ გუნდს ვაწყობთ და მათ ცოტა ხანს მოცდა მოუწევთ". რუდი ასაუერი: „ჰაინკესს მუშაობა უნდა ვაცალოთ".

„პერუჯას" დასამარცხებლად კბილებალესილ „მგლებს" მატჩის მეთორმეტე წუთზე ფორვადი ტოპიჩი დაემტვრათ და იურგენ რიობერს გეგმები აერია. როი პრეგერი და ტომისლავ მარიჩი დისკვალიფიკაციის გამო გუნდს აკლდნენ. ტოპიჩის ნაცვლად მწვრთნელმა მცველი შეუშვა, რომლის შეცდომასაც ჯოვანი ტედესკოს გოლი მოჰყვა. მასპინძლებს უკვე სამის გატანა სჭირდებოდათ. შესვენებამდე ეს ვერ მოახერხეს, თან უხეშობისთვის პაბლო ტიამი გაუძევეს.

მეორე ტაიმში კაცნაკლული „ვოლფსბურგი" ბევრს ეცადა, მაგრამ იტალიური დაცვის მოთვინიერება ვერ შეძლო. შეხვედრის მიწურულს „მგლები" ემანუელ ბერეტონიმ მეორედ დაამწუხრა, მსაჯმა კი პაბლო ტიამის გზას დიეგო კლიმოვიჩიც გააუყენა.

ვაჟა ხუციშვილი

ვოლფსბურგი — პერუჯა. ემანუელ ბერეტონიმ გერმანელებს მეორე გაუტანა და ევროპაში იტალიელები დატოვა

ბარსას ახალი ჰოლანდიელი

ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი უკვე ბარსელონაშია. კონტრაქტი „არსენალთან" პრაქტიკულად გაფორმდა და თუ დღეისთვის ჰოლანდიელმა კატალონიელი ექიმების სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა (ბოლო თვეების განმავლობაში ტრავმებმა დატანჯა), ფრანკ რაიკარდს კიდევ ერთი თანამემამულე შეგირდი შეემატება.

ვან ბრონკჰორსტი ერთი სეზონით იჯარით ითამაშებს კატალონიაში. ბარსელონაში ჩასულმა ჰოლანდიელმა იქაურ ჟურნალისტებს უთხრა: „იმ ორი წელიწადით, რაც ინგლისში გავატარეთ, მეც და ჩემი ოჯახიც მეტად კმაყოფილი დავრჩით. აქაურებმა შესანიშნავად მიგვიღეს და რაიმე პრობლემაც არ გვქონია, მაგრამ ახლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთის თამაშია, ევრო 2004 ახლოვდება და „ბარსას" ძირითად შემადგენლობაში ყოფნით პორტუგალიაში თამაშს გავინაღდებ. „ბარსელონას" კი მისი დიდი ტრადიციების, განსაკუთრებული თამაშის სტილისა და დამრიგებელ ფრანკ რაიკარდის გამო უდიდეს პატივს ვცემ."

ლადო ხომერიკი

ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს „ბარსელონას" მაისურა ხუან ლაპორტამ მოაბრა

რიკელმე დააბინავეს

ხუან რომან რიკელმე ერთი სეზონით „ვილიარეალში" იჯარით ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას" ყოფილი მე-10 ნომრის ხელში ჩაგდებას პრიმერადივიზიონის „რეალ მურსიაც" ცდილობდა, თუმცა არგენტინელს ამ გუნდის საგაისო ევროტურნირებზე არყოფნა და კატალონიიდან ქალაქ მურსიას სიშორე არ მოეწონა.

ერთიცაა, რიკელმემ „ვილიარეალი" იმიტომაც ამჯობინა, რომ იქ არგენტინელები — ყოფილი ბოკელები თამაშობენ და ახალ გუნდთან შეგუება ამადაც არ გაუჭირდება.

ლადო ხომერიკი

წყალწაღებულის გადასარჩენად დარეკეთ 37-1, ეკითხეთ თომასი

ავსტრიის ჩემპიონატის ცხრილს თუ ჩახედავთ, ფსკერზე „ზალცბურგს" დაინახავთ. სეზონის დაწყებიდან ხუთი ტური მიილია და „ზალცბურგს" მარაგში ხუთი მარცხი აქვს. კლუბის პატრონმა მშველელის ძიებაში მეზობელ გერმანიას მიაკითხა. იქ მაისში კარიერა დაასრულა ტანით პატარა დიდმა ფეხბურთელმა: თომას ჰესლერმა „მიუნხენ 1860"-ის შემადგენლობაში მეოთხასე მატჩი ითამაშა და მიუნხენელ „ლომებს" დაემშვიდობა.



თომას ჰესლერი

კუსპარა ფეხბურთელს, ისევე როგორც ყველა კარიერადასრულებულს, პირველ რიგში ყატარიდან მიაკითხეს, მაგრამ ჰესლერმა დასვენება არჩია. აგერ, სამი თვე გავიდა, კიდეც დაისვენა და არაბ შეიხებს მოსაზღვრე ავსტრია არჩია.

მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს წყალწაღებული გუნდის გადასარჩენად უხმეს და მანაც უარი არ თქვა. 37 წლის ფეხბურთელს ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს და იგი დათანხმდა. ფურცლები ხელმოწერილია და ჰესლერი „ზალცბურგისთვის" ითამაშებს. გამორიცხული არაა, ვეტერანმა თავისი მომავალი ავსტრიულ კლუბს დაუკავშიროს და კონტრაქტი გაახანგრძლივოს. როგორც წესი, ხშირად ხდება, რომ ასეთი დონის ფეხბურთელები ჯერ მწვრთნელობასაც ითავსებენ, მერე, გუნდის მთავარ მწვრთნელობასაც კისრულობენ.

ვაჟა ხუციშვილი



ჩარლტონი — ევერტონი. უეინ რუნიმ „ევერტონს“ ჭულა დაუნარჩუნა

შერის სამი გოლი და რუნის ბრწყინვალეგა

ინგლისი

პრემიერლიგა, III ტური

ლიდსი 0:0 საუთჰემპტონი

ლიდსი: რობინსონი, კელი, კამარა, მატეო, ბარტი (რიჩარდსონი 82), პენანტი (უილკოქსი 90), მორისი (ბეტი 67), ს. ჯონსონი, სახო, სმიტი, ვიდუკა

მწვრთნელი: პიტერ რიდი

საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, მ. სვენსონი, ლე სო, ფერნანდესი, დელაბი (ტელფერი 9), ოუკლი, პრატონი (მაკკენი 78), ფილიპსი (ორმეროდი 85), ბიტი

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

გაფრთხილება: მატეო, სახო, ლე სო, ოუკლი, ფერნანდესი

მსაჯი: დარკინი

34 721 მაყურებელი

ჩარლტონი 2:2 ევერტონი

1:0 იუელი (25ჯ), **1:1** უოტსონი (26), **2:1** იუელი (49ჯ), **2:2** რუნი (72)

ჩარლტონი: კილი, იანგი, ფორტუნი, ფიში, ბრეიდარსონი, კიშიშევი (სტუარტი 77), ჰოლანდი, პარკერი, იენსენი, იუელი, ბარტლეტი (კოული 76)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

ევერტონი: რაიტი, პისტონე, სტაბსი, იობო, ანსუორთი, უოტსოული, პემბროჯი, ლინდეროტი, ნეისმიტი, რაძინსკი, რუნი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: იენსენი, ანსუორთი

მსაჯი: დანი

26 336 მაყურებელი

ლესტერი 0:0 მიდლსბრო

ლესტერი: უოლკერი, კერტისი, ჰოუეი, ტეტჩერი, როჯერსი, იზეტი, ნალისი (დინი 72), შიმეკა, გილესპი, სკაუკროფტი, დიკოვი (ჰიუნეტი 80)

მწვრთნელი: მიკი ადამსი

მიდლსბრო: შვარცერი, ბარნაბი, საუთგეიტი, კოპერი (სტოკდეილი 45), დევისი, მენდიეტა, ბოატენგი, ფუნნინო პაულისტა, გრინინგი, ფობი (რიკეტსი 80), ნემეტი (კრისტი 80)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: შიმეკა, ნალისი, გილესპი, ბოატენგი, ბარნაბი

მსაჯი: ბარბერი

30 823 მაყურებელი

პორტსმუთი 4:0 ბოლტონი

1:0 სტოუნი (48), **2:0**, **3:0**, **4:0** შერინგემი (57, 88, 90ჯ)

პორტსმუთი: ბისლოპი, შემელი (პრიმუსი 81), დე ზეუეი, სტეფანოვიჩი, ფიკოვიჩი, სტოუნი, კოში, ბაიე, ბერგერი, შერინგემი, ბიეგბენი (პერიკარი 84)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

ბოლტონი: იასკელაინენი, ბარნესი (ჩარლტონი 41), ნგოტი, კამპო, ლევილი, ფრანდსენი (ფარდელი 63), პედერსენი, ოკონა, გარდნერი, დევისი (იანაკოპულოსი 64), ჯორკაეფი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: ფიკოვიჩი, კოში, ლევილი, დევისი, ჩარლტონი, იანაკოპულოსი

მსაჯი: გალაპერი

20 113 მაყურებელი

ორშაბათიდანვე გაგრძელებულ პრემიერლიგას სამი ტურის შემდეგ ახალი ლიდერი ჰყავს, ეგებ მხოლოდ ოცდაოთხი საათით, მაგრამ ცხრილს სათავეში უდგას ლიგის ახალბედა „პორტსმუთი“, რომელმაც ბურთების უკეთესი სხვაობით უკან ჩამოიტოვა ორშაბათს გალიდერებული „მანჩესტერ სიტი“.

„პორტსმუთმა“ შინ 4:0 მოუგო „ბოლტონს“. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში სტივ სტოუნმაც გახსნა. შემდეგი სამი გოლი კი 37 წლის ტედი შერინგემმა გაიტანა, აქედან ბოლო ორი ორ წუთში. საკვირველია, მაგრამ მეზღვაურებს სწორედ 4:0 სჭირდებოდათ იმისთვის, რომ ცხრილს სათავეში მოქცეოდნენ. ოთხშაბათ საღამომდე, როცა თავიანთი მატჩები უნდა გაემართათ „მანჩესტერს“ და „არსენალს“.

პორტსმუთელთა მენეჯერმა ჰარი რედნაპმა თქვა: „წესით, ცხრა ქულა უნდა გვქონდეს. შაბათს „მანჩესტერ სიტიმ“ მოგება ბოლო წუთს გამოგვაცალა ხელიდან. თუმცა, შვიდი ქულაც დიდებულია, გუნდი შემართულია და ყველა ერთმანეთისთვის არის. გულშემატკივრობა ზღაპრულია და შინ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

სანამ „პორტსმუთი“ ხარობს, „მიდლსბროში“ პირველად ითამაშა გაისკა მენდიეტამ, თუმცა, „ბოროს“ სტუმრობა ლესტერში უგოლოდ დასრულდა, ისევე, როგორც „ლიდსისა“ და „საუთჰემპტონის“. შეხვედრა.

სამაგიეროდ, ოთხი გოლი გავიდა ჩარლტონის „ვეილიზე“, სადაც იქაურები „ევერტონს“ მასპინძლობდნენ და ორჯერ იგებდნენ ჯეისონ იუელის ორი პენალტით, თუმცა, ლივერპულელებმა ორჯერვე გაათანაბრეს, ჯერ სტივ უოტსონის წყალობით, მერე კი უეინ რუნის ბრწყინვალე ფეხბურთელობის საშუალებით. რუნი დიდად აქტიური არ იყო თამაშში, თუმცა, ორი საგოლე პასი მაინც მოახერხა, გოლისას კი საუცხოო ტექნიკა და თავისი საფირმო დარტყმა გამოაჩინა. ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი „ვეილის“ ტრიბუნაზე იჯდა და ისედაც ხომ ცნობილია, რომ 17 წლის რუნი მისი ერთ-ერთი ფავორიტია.

„პორტსმუთის“ მეგოლეები: სტივ სტოუნი და ტედი შერინგემი

ირაკლი გამყრელიძე

პორტსმუთი	3	2	1	0	7:2	7
სიტი	3	2	1	0	7:3	7
არსენალი	2	2	0	0	6:1	6
მანჩესტერი	2	2	0	0	6:1	6
ჩელსი	2	2	0	0	4:2	6
ბლეკბერნი	3	1	1	1	9:6	4
ევერტონი	3	1	1	1	6:5	4
ჩარლტონი	3	1	1	1	6:5	4
ბირმინგემი	2	1	1	0	1:0	4
ტოტენჰემი	2	1	0	1	2:2	3
საუთჰემპტონი	3	0	3	0	2:2	3
ფულემი	2	1	0	1	4:5	3
ლიდსი	3	0	2	1	3:4	2
ლესტერი	3	0	2	1	3:4	2
ნიუკასლი	2	0	1	1	3:4	1
ლივერპული	2	0	1	1	1:2	1
ასტონ ვილა	2	0	1	1	1:2	1
მიდლსბრო	3	0	1	2	2:7	1
ბოლტონი	3	0	1	2	2:10	1
ვულვზი	2	0	0	2	1:9	0

I დივიზიონი. IV ტური

ნორვიჩი 3:2 უიმბლდონი
სტოკი 0:0 მილუოლი
ვესტ ჰემი 1:0 ბრედფორდი
კრისტალ პალასი 1:2 შეფილდი
უიგანი 1:0 იფსვიჩი

კრ. პალასი	4	3	0	1	8:5	9
ვესტ ბრომვიჩი	4	3	0	1	7:5	9
რედინგი	4	2	2	0	7:3	8
სტოკი	4	2	2	0	6:2	8
მილუოლი	4	2	2	0	4:1	8
შეფილდი	4	2	2	0	3:1	8
ნორვიჩი	4	2	1	1	7:5	7
კარდიფი	4	2	1	1	6:4	7
უიგანი	4	2	1	1	4:3	7
ვესტ ჰემი	4	2	1	1	3:2	7
ქრიუ	4	2	1	1	4:4	7
სანდერლენდი	4	2	0	2	4:3	6
უოლსოული	4	1	2	1	5:3	5
როტერჰემი	4	1	2	1	1:2	5
ჯილინგემი	4	1	2	1	1:3	5
ბრედფორდი	4	1	1	2	4:4	4
უიმბლდონი	4	1	0	3	7:9	3
ნოტინგემი	3	1	0	2	3:5	3
ბარნლი	4	1	0	3	6:9	3
ქოვენთრი	2	0	2	0	1:1	2
იფსვიჩი	4	0	2	2	2:4	2
პრესტონი	4	0	1	3	2:6	1
დერბი	4	0	1	3	3:10	1
უოტფორდი	3	0	0	3	0:4	0

მილანს უკან ძალიან უჭირს





კარლეს პუიოლს კარლო ანჩელოტი არ ეშვება

29 აგვისტოს „ლუი II“-ზე „მილანი“ და „პორტუ“ ევროპის სუპერთასს გაითამაშებენ. მოსამზადებელ პერიოდში „შავ-წითლებმა“ ხუთივეში თამაში რომ ჩაატარეს და ყველაში დამარცხდნენ, ცნობილი ამბავია. ამიტომ მომავალ მატჩს კარლო ანჩელოტის გუნდისთვის საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იტალიელებს დაცვაში პრობლემები შეექმნათ და წარმატების მიღწევა აშკარად გაუჭირდებათ.

თუ ანდრეა პირლოს ტრავმა საქმეს ძალიან არ ართულებს, რადგანაც მისი შემცვლელები მრავლად არიან, პაოლო მალდინისა და კახა კალაძის დაშავება „მილანს“ საკმაოდ უმძიმეს მდგომარეობას. საქმე მხოლოდ ევროპის სუპერთასში როდია. ცნობილია, რომ კალაძე ოქტომბრამდე ვერ ითამაშებს და უახლოეს მომავალში არც მალდინი იქნება მზად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ სეზონს მილანელები არცთუ სასურველად დაიწყებენ.

ამ ყველაფრიდან საუკეთესო გამოსავალი ახალი ფეხბურთელის დამატება იქნება, რაც სამომავლოდაც წაადგება იტალიურ კლუბს. ეს ყველაზე კარგად თავად „მილანმა“ უწყის და კარლეს პუიოლის გადაბირებაზე ფიქრობს. თუმც, კატალონიელის ფასი, 10 მილიონი ევრო, მილანელებს ეძვირებათ, რაც აფერხებს კიდეც ტრანსფერს.

„მილანი“ სხვა გზით ცდილობს მიზნის მიღწევას და „ბარსელონას“ პუიოლში 4 მილიონ ევროსთან ერთად როკე ჟუნიორს ან მარტინ ლაურსენს სთავაზობს. როგორც ამბობენ, ანჩელოტის ამ უკანასკნელის დაკარგვა ურჩევნია, ხოლო ფრანკ რაიკარდი უფრო ბრაზილიელით არის დაინტერესებული. კლუბების წარმომადგენლები მოლაპარაკებების გაგრძელებას დღეს აპირებენ.

ამბობენ, „მილანს“ სათადარიგო ვარიანტიც აქვსო. იმ შემთხვევაში, თუ „შავ-წითლებს“ პუიოლთან არაფერი გამოუვათ, შესაძლოა, ლონდონის „ჩელსის“ მიმართონ ჰოლანდიელი ბუდეკვინ ზენდენის თაობაზე.

გიორგი ძაძაბაძე

ესპანეთი

კატალონიის თასი ფინალი

ბარსელონა 1:0 ესპანიოლი

1:0 კვარესმა (59)

ბარსელონა: ვალდესი (რუშუე 46), პუიოლი, რაიციგერი, კოკუ, ოსკარ ლოპესი, ხავი, ხერარდი, კვარესმა (ინიესტა 86), ლუის ენრიკე (ოვერმარსი 62), რონალდინიო, საविოლა (კლუივერტი 72)

ესპანიოლი: ლემენსი, ტორიჩელი, სოლდევილა, ბერტრანი, დ. გარჩა, მორალესი (დელგადო 74), ალექსი (ფრედსონი 64), ველამასანი (კორომინასი 49), ჯ. გარჩა, ურტადო (სებალიოსი 54), ჯონათანი (სერხიო 49)

გაფრთხილება: ალექსი, სოლდევილა, საविოლა, ლუის ენრიკე, ხერარდი, ოსკარ ლოპესი

გაძევება: რონალდინიო (90)

მსაჯი: სანჩესი

უკვდავები

ალსტვენსკა XIX ტური

იორებრო 2:2 გიოტებორგი

იურგორდენი	18	13	1	4	42:14	40
მალმიო	19	10	5	4	40:16	35
ჰამარბი	19	10	5	4	33:26	35
ჰალმსტადი	19	10	3	6	33:23	33
იორგრიტე	19	9	3	7	28:30	30
ჰელსინგბორგი	19	8	3	8	22:28	27
გიოტებორგი	18	7	5	6	25:17	26
აიკ	19	7	5	7	27:28	26
იორებრო	19	7	5	7	23:27	26
ელფსბორგი	19	5	7	7	19:26	22
ლანდსკრონა	19	5	7	7	17:25	22
იოსტერი	19	3	6	10	20:34	15
სუნდსვალი	19	2	8	9	16:29	14
ენკოპინგი	19	2	5	12	18:40	11

...და ან ცაზე ვარსკვლავები

კევინ კიგანი



1951 წლის ვალენტინობა დღეს, 14 თებერვალს, ნიუკასლელი მაღაროელის ოჯახში თაგვი დაიბადა. დიახ, თაგვი, მაუსი, და ეს რომ სწორედ ასეა, ამაში ეჭვი არავის შეპარვია. აი, ერთი რამ კი საეჭვოა: რომელი მაუსი დაიბადა, მიკი თუ მაითი? გვინახავს წყაროები, სადაც მას მიკის უწოდებენ და ეს ძალიან ბუნებრივია, რომ შეხედავთ, ახსნა-განმარტება არ დაგჭირდებათ, თუმცა ზოგი წყარო მას მაითი მაუსად იხსენიებს და ესეც ფრიად ბუნებრივია — მაუსი მაუსია, თან შემძლე, ძლიერი, (ხომ გახსოვთ, მაითი მაუსის მულტფილმი, რომ დაფრინავს და ბოროტს ებრძვის?) მაგრამ, საბოლოოდ, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ 1951 წლის ვალენტინობა დღეს, მაღაროელთა ოჯახში (იგულისხმება, რომ მამა პირველი თაობის მაღაროელი არ იყო) მიკი მაუსი დაიბადა, რადგან უფრო ხშირად და უფრო ავტორიტეტული წყაროები ასე იხსენიებენ

თაგვი კალმახით პირში

ერთი სიტყვით, ნიუკასლელმა მაღაროელმა მამამ ოჯახს ხელი მოჰკიდა და იქვე, ახლოს, ქალაქ სკანტორპში გადასახლდა, სადაც თაგვმა, რომელსაც სინამდვილეში კევინ კიგანი ერქვა, ბურთაობა დაიწყო — იმის თქმა გვინდა, რომ სკოლაში სწავლაზე მეტად მოედანზე სირბილი მოსწონდა. კევინს კარში აყენებდნენ, ეს თავადაც სიამოვნებდა, მაგრამ 12 წლისა რომ მოიყარა, შემაშფოთებელი ამბები დატრიალდა: მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ბიჭები მასზე მაღლები ყოფილან, მერე კი ეს მიხედვ-მოხედვა ჩვეულად ექცა და აღმოაჩინა, რომ, ბოდიში და, დაბალია. რა კარში დგომა, რის კარში დგომა, როდესაც 16 წლისა 160 სანტიმეტრი იყო. ბურთს ხომ უნდა მიწვდენოდა? 17 წლისა, მართალია, 171 სანტიმეტრამდე გაიზარდა, მაგრამ... „სკანტორპ იუნაიტედთან“ თავისი პირველი პროფესიული კონტრაქტი ნახევარმცველად დასდო.

19 წლის თაგვს თაგვი ხარო უთხრეს, ეს ქოვენთრიში მოხდა, რომლის გუნდის, „ქოვენთრი სიტის“ წარმომადგენლებმა კიგანს

კევინ კიგანი თბილისში სტუმრობისას

თვალი კი დაადგეს, მაგრამ მწვრთნელს რომ მიუყვანეს, იმან ამ თაგვს ვინმე ფეხს დააბიჯებს და არ მინდა, წაიყვანეთო.

წაიყვანეს... „ლივერპულში“. რეი კლემენსი ხომ იცით, „ლივერპულის“ ცნობილი, მაშინდელი მეკარე, 1979-ში თბილისში რომ ითამაშა და წვიმაში სამი გოლი გაუშვა, ხოლო ახლა ინგლისის ნაკრებში მეკარეებს ავარჯიშებს? ის კლემენსი ოდესღაც ლივერპულელობამდე სკანტორელი იყო და „ლივერპულის“ მეორე მწვრთნელს ბობ პეისლის (რა დრო იყო?) მან უთხრა, ჩვენს ქალაქში ასეთი და ასეთი ბიჭი გამოჩნდა, ჩამოგიყვანთ, შეხედეთო.

ახლა იმაზე, რატომ იყო ამხელა პეისლი მეორე მწვრთნელი?! იმიტომ, რომ პირველი ლეგენდარული ბილ შენკლი გახლდათ, რომელმაც, სხვათა შორის, დაახლოებით იგივე თქვა, რაც „ქოვენთრის“ კაცმა, მაგრამ მას პეისლიმ არ დაუთმო — მართალია, ეს ბიჭი ტანსაცმელში ჩხირი ჩანს, მაგრამ შიშველი კუნთების აცმაო. გააშიშვლეს კიგანი, შემდეგ კი გარეთ გამოუშვეს; ოფისის გარეთ ურნაზე ჩამომჯდარი ელოდა ვერდიქტს.

მერე რაც მოხდა, იცით! მიკი მაუსი „ლივერპულში“ მიიღეს და მანაც, ჟარგონისთვის ბოდიში მოგვითხოვია, დაგლეჯა. ეს უკვე პეისლის ხანა გახლდათ.

1977 წელს კი კევინ კიგანი რატომღაც „ჰამბურგში“ გადავიდა — ალბათ, იმიტომ, რომ იმავ 1979-ში „ლივერპულის“ შემდეგ თბილისში ჩამოსულიყო და „დინამო“ დაემარცხებინა.

ინგლისში კი მისი წასვლის ამბავი ხეირიანად ვერ აღიქვეს და ცოტა არ იყოს გული აუცრუვდათ — თუ ინგლისელთა ბუნებას იცნობთ, იოლად გაუგებთ, თუ არა და გეტყვით, რომ მათთვის თავიანთი თავის გარდა ყველა ყარტაყურტაა, ხოლო სამყაროს ჭიპი მათ ქვეყანაში, ქალაქში და ქუჩაზეა. სხვათა შორის, ამ ამბებიდან დიდი ხნის შემდეგ, მიკი მაუსმა თუ კევინ კიგანმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში 11 გვერდი სწორედ იმ გადასვლის გამართლებას თუ მის გამო მობოდიშებას მიუძღვნა. რაც შეეხება ბობ პეისლის, მას ერთხელ არ დასცდენია კიგანზე აუგი, ხოლო როდესაც მისმა ჟამმა ჩამოჰკრა, ამქვეყნიდან წასასვლელად კიგანის დაბადების დღე, 14 თებერვალი არჩია.

დავანებოთ ამას თავი... „ლივერპული“ კიგანის წასვლით არ დაქცეულა, მეტიც, ბრწყინვალე კენი დალგლიში შეიმატა და სამი წლის შემდეგ იბრუნებული კიგანი აღარ მიიღო, აღარ სჭირდებოდა. 31 წლის მიკი „საუთჰემპტონში“ გადავიდა.

„საუთჰემპტონში“, უნდა გითხრათ, მიკიმ ორი სერიოზული სეზონი ჩაატარა, თუმცა მერე, რაღაც სისულელე მოხდა. კაცი, რომელიც ასე გამოადგა, გუნდმა სულ რაღაც 100 ათასად დაუთმო „ნიუკასლ იუნაიტედს“. აქ, თქვენი ნებართვით, აღარ დავიწყებთ ყავლგასულ ხუმრობას, რომ 100 ათასი ბექემისთვის პარიკმახერის ფულია და სხვა. ყველას თავისი აქვს ფულიცა და ცხოვრებაც თავისი პრობლემებით. ერთი სიტყვით, კიგანი მაღაროელი მამის ქალაქს დაუბრუნდა, სადაც საქმეც გააკეთა და პლუს, მაშინ ყმაწვილებს, კრის უოდლსა და პიტერ ბერდსლის გვარიანად გაუზიარა გამოცდილება.

33 წლის კევინ კიგანმა ბურთაობას თავი დაანება, ესპანეთში წავიდა და შვიდი წლით გაქრა — თურმე თავისთვის გოლფს თამაშობდა.

აღმოსავლურ ზღაპრებში ხშირადაა: ახლა ეს კაცი დროებით აქ დავტოვოთ, ჩვენ კი... მოდით, მზეს მიფიცხებული კიგანი დროებით ესპანეთში დავტოვოთ თავისი საგოლფე ყვანჯით ხელში, ჩვენ კი წვიმიან ნიუკასლში დაბრუნდეთ და შევხედოთ, როგორ ვერ იხსენებს კლუბის პრეზიდენტი, ბიზნესმენი სერ ჯონ ჰოლი იმ ბიჭის სახელს, რომელმაც „კაჭკაჭებს“ თავის დროზე უშველა. შუბლიც ისრისა სერ ჯონმა, თითებიც ატკაცუნა, მაგრამ ვერაფრით მოიგონა და მეგობრებთან ერთად ისევ მიუჯდა სუფრას. შოტლანდიური ვისკის რამდენიმე ჭიქის მერე კი...

— კიგანი! აი, ვინ უნდა ჩამოვიყვანო! — ევრიკასავით შესძახა მილიონერმა.

არ გაჭრა მიკის არგუმენტებმა, რა მწვრთნელი, რის მწვრთნელი, შვიდი წელიწადია ბურთი როგორია არ დამინახავსო, მაინც მოუხდა მზის დატოვება და სერ ჯონთან ერთად წვიმაში დაბრუნება.

კიგანი დაბრუნდაო? იცით, რა თქვა მაშინ ჯეკი ჩარლტონმა ეს რომ უთხრეს?

„კიგანი იღბლიანია. ტაინში რომ ჩაყვინთოს, პირში კალმახით ამოვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მდინარეში კალმახი არ ბინადრობს, კიგანის ხათრით გაჩნდება“.

და დაიწყო! „ნიუკასლი“ იოლად დაბრუნდა პრემიერლიგაში (უკვე ასე ერქვა), სადაც ადგილი შეინარჩუნა კი არა, ორ წელიწადს მეორე ადგილზე გავიდა. რატომ ვერ გახდა ჩემპიონი? იმიტომ, რომ პირველი წრის შემდეგ მიკი მაუსის „კაჭკაჭები“ ვერაგი ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ათი ქულით უსწრებდნენ და თავი ქუდში ეგონათ (კაცმა რომ თქვას, კლასიკური გაგებით ჰქონდათ კიდეც), მაგრამ საშობაოდ ფერგიუსონის ფაქსი მიიღეს, თქვენი ბომბარდირი ენდი კოული კიტ გილესპის პლუს გვარიან თანხაში გამიცვალეთო.

ისევ ჟარგონისთვის: კიგანი დაგოიმდა! აბა, კოულის მიყიდვა იმ მომენტში იქნებოდა?



„ნიუკასლის“ შემდეგ იყო გოლფიანი წელიწადი და „ფულემი“ — არაბმა მილიონერმა მუჰამედ ალ ფაედმა ლონდონური კლუბის აღზევება გადაწყვიტა. საამისოდ წყლიდან კალმახით ამოყვინთვა იყო საჭირო, მაგრამ ისის იყო კიგანმა ჩაყვინთა, რომ თვით ინგლისის ნაკრებში დაუძახეს.

დავალება ასეთი იყო: ინგლისელებს გლენ ჰოდლის ცუდად დაწყებული შესარჩევი საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანათ და ევრო 2000-ზე მოხვედრილიყვნენ.

მოხვდნენ! კიგანმა კალმახით ამოყვინთა, ოღონდ ერთი ცუდი ამბავი შეემთხვა გლაზგოში, ჯიბრიან მეზობლებთან, შოტლანდიელებთან 2:0 მოგების შემდეგ ფეზბურთელებთან ერთად გამოთვრა და რამდენიმე დღეში, საპასუხო თამაში ინგლისის ნაკრებს ერთობ „პახმელიური“ გამოუვიდა — 0:1 წააგო. ეს პლეიოფი გახლდათ. ევროპაზე ინგლისი წავიდა, მაგრამ იქ, ბელგია-ჰოლანდიაში შთაბეჭდილება ვეღარ მოახდინა. ამბობენ, ზვავი პირველი ლოთობის გამო დაგორდაო. მოდი და გაიგე.

დღეს კიგანი „მანჩესტერ სიტიშია“. ჩაყვინთა, გუნდიან-კალმახიანად პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში ამოყვინთა და უკვე მეორე წელიწადია იქ იბრძვის.

კი მაგრამ, მზე და გოლფი?

ბაბუნა ბედია

გუთნის მამა მონღოლია?



მე მჯვია

1999 წელს „ლაციოდან“ „ინტერში“ გადასულმა კრისტიან ვიერიმ თქვა: „დაუსრულებელი ხეტიალი კლუბიდან კლუბში მომწყინდა. აღარც კი მახსოვს, მერამდენე გუნდი გამოვიცვალე. საბოლოოდ ალბათ აქ დავრჩები. ხუთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და მჯერა, რომ ამ ვადის ამოწურვამდე მილანიდან ფეხს არ მოვიცვლი. „ინტერთან“ ერთად მრავალი ჯილდო უნდა მოვიგო“.

ბევრმა მისი ნათქვამი ყურიდან ყურში გაუშვა, რადგან ვიერი მომთაბარე მონღოლივით დაეხეტებოდა, ერთ წელზე მეტს გუნდში არ ჩერდებოდა და იფიქრეს, ეს მოუსვენარი კაცი არც მილანში დადგებაო. ოთხი სეზონი მიილია და „ბობო“, იგივე „მონსტრი“, „მუნჯი“, „ადამიანი ყინული“, „მკვლელი საჯარიმოში“, „ბიზონი“ ანუ კრისტიან ვიერი კვლავ „ინტერშია“. ყველა ჩამოთვლილი მეტსახელი მოგზაურ ფეხბურთელს ეკუთვნის და მათი წარმომავლობა თუ გაინტერესებთ, ქვემოთ გიამბობთ.

ბობო

რას ნიშნავს „ბობო“? ვიერის მამას რობერტო ერქვა და მას ბობს ეძახდნენ. ბობოც აქედან გამოძერწეს და ფეხბურთელს სამუდამოდ მიაკერეს.

რობერტ ვიერი „ბოლონიას“ ნახევარმცველი იყო და საკმაოდ კარგადაც ბურთაობდა. 1973 წელს რობერტოს ფრანგმა მეუღლემ, ნატალიმ, ვაჟი, კრისტიანი აჩუქა. სამი წლის შემდეგ ოჯახი იტალიას გაეცალა და ავსტრალიაში წავიდა. მამა ვიერი იქ იტალიელი ემიგრანტებით გაძეძგილ „მარკონიში“ თამაშობდა. კარიერის დასრულების შემდეგ გუნდის მწვრთნელობა იკისრა.

პატარა კრისტიანი მძლეოსნობას, ცურვას, განსაკუთრებით კრიკეტს ეწაფებოდა. „ბურთის სროლა არ მიყვარდა, კეტის მოქნევა კი ძალიან მომწონდა“ — გაიხსენა ვიერიმ კრიკეტული წარსული.

მამის ფეხბურთელობამ 12 წლის კრისტიანიც გადაიბირა. სხვათა შორის, ვიერის უმცროსი ძმა მასიმილიანიც ფეხბურთს მიჰყვა და „იუვენტუსის“ ჭაბუკთა გუნდში თამაშობდა. დედამიწიელებში ერთადერთი, ვინც მოედანზე სათამაშოდ არ გასულა, კრისტიანის პატარა და ვერონიკაა.

1988 წლის ზაფხულში „ბობი“ იტალიში არდადეგებზე პაპას (მამის მამას), ენცოს ესტუმრა. პაპა ენცო თავის დროზე „პრატოს“ და „პისტოიეზეს“ მეკარე ყოფილა. კრისტიანს თან ავსტრალიელი მეგობარი პოლ ოკონი ახლდა (მოგვიანებით ორივე „ლაციოში“ აღმოჩნდა). ენცო პაპამ ბიჭებს ბურთი გაუგორა და სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა. უმალვე საფეხბურთო კლუბ „სანტალუჩიას“ პრეზიდენტს დაურეკა და სთხოვა, თუ არ შეწუხდებით, ბიჭებმა თქვენს გუნდში დროებით ივარჯიშონო...

იტალიური არდადეგები დასრულდა. ვიერის ავსტრალიაში მშობლები ელოდებოდნენ. „ბობომ“ ბურთი აიგდო და თავი შეუშვირა, კენგურუებთან არ დავბრუნდები, „სანტალუჩიაში“ დარჩენა მსურსო. კრისტიანის ახირება დეკემბერში დასრულდა. მამამ ჩაკითხა, ყური აუწია და ავსტრალიაში წაიყვანა.

„ბობოს“ რა მოასვენებდა, პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერაზე ოცნებობდა და ყველა იტალიური სერია ერთად ესიზმრებოდა. პაპას ხშირად ურეკავდა, ჩემს მშობლებთან ორიოდ სიტყვა შემაწიე, ეგებ გამომიშვანო. ენცო პაპას სიტყვამ გაჭრა და „სანტალუჩიას“ პრეზიდენტს ვიერისთვის თვითმფრინავის ბილეთი შეაკვეთინა.

„დედ-მამასთან განშორება მძიმედ გადავიტანე — თქვა „ბობომ“ — იტალიაში ჩასულ 14 წლის მტირალ ბიჭს პაპა ორი კვირის განმავლობაში ცრემლს მწმენდდა. დღეებს ვითვლიდი, როდის დავბრუნდებოდი ავსტრალიაში, მაგრამ როგორც კი დავბრუნდი, მეორე დღესვე მივხვდი, რომ იქ ჩამოვყალიბდებოდი. ისევ იტალიაში წასვლა ავიტეხე. დედა კატეგორიულ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს დამთანხმდნენ“.

მონსტრი

ეს მეტსახელი ბავშვობიდან მოდის. ფეხბურთელის დედამ გაიხსენა, რომ ბალღობაში კრისტიანი სხვებზე ზორბა და ვერცხლისწყლივით მოძრავი იყო. ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა და ამიტომაც შარქვეს „მონსტრი“.

მოუსვენრობა დიდობაშიც გაჰყვა. 1989 წელს ავსტრალიიდან იტალიაში საბოლოოდ დაბრუნებულმა სერია C1-ის გუნდ „პრატოში“ დაიწყო თამაში. ერთი წლის შემდეგ „ტორინოში“ გადაბარგდა, მერე „პიზაში“, მოგვიანებით კი „რავენაში“. „რავენაში“ გატარებულ სეზონში 12 გოლი მიითვალა, მომდევნო შემოდგომაზე უკვე „ვენეციაში“ (11 გოლი) აღმოჩნდა. კრისტიან ვიერი იმ დროს იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, რომელმაც 1994-ში ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

მომდევნო გაჩერება „ატალანტა“ გახლდათ, საიდანაც „იუვენტუსს“ მიაშურა. ტურინელები მას სამომავლოდ ამზადებდნენ და თადარიგში დასვეს, მაგრამ ალენ ბოკშიჩისა და დელ პიეროს ტრავმებმა „მონსტრს“ შანსი მისცა და მანაც გამოიყენა. ვიერი-ამორუზოს წყვილი მეორე წრეში ათამაშდა და „ბობომ“ 8 გოლი გაიტანა.

მიუხედავად ამისა, კრისტიან ვიერი ტურინში არ გაჩერდა და მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა. პრიმერადივიზიონში გატარებულმა ერთადერთმა სეზონმა მას ბომბარდირის ტიტული არგუნა (24 გოლი 24 მატჩში).

„ვფიქრობ, რომ ჩემი, როგორც ფეხბურთელის, განვითარებისთვის გუნდების ცვლა აუცილებელია — სერიოზულად ბჭობდა მეგოლე — ყოველ წელს ახალ კლუბში ადაპტაცია ძნელია, მაგრამ მეორე მხრივ ძალიან ბევრს ვსწავლობ“.

მადრიდიდან რომში ჩავიდა და „ლაციოში“ წელიწადი გაატარა. მერე წაიყვანა მილანის „ინტერმა“, რომელიც მის ათწლიან კარიერაში მეთერთმეტე გუნდი გამოდგა.

მუნჯი

სიმუნჯე ვიერის ესპანეთში დასწამეს, თუმც ენადგაკრეფილი ის იტალიაშიც არ ყოფილა. მისი მისამართით გაგზავნილ არაკორექტულ გამოთქმებსაც ხშირად უპასუხოდ ტოვებდა. რომის „ლაციოდან“ „ინტერში“ „ბობოს“ გადასვლას, გახსოვთ ალბათ, ვატიკანის პროტესტი მოჰყვა. ფეხბურთელში ამდენი (90 მილიარდი იტალიური ლირა) ფულის გადახდამ ვატიკანელები შეაშფოთა. ღარიბ-ღატაკს დაურიგოთ ის სჯობსო. „მონსტრს“ ხმა არ ამოუღია, ან რა უნდა ეთქვა, თვითონ ხომ არ გადაუხდიდა.

სამაგიეროდ, „ბობომ“ ენა მაშინ დაღალა, როცა სერჯიო კრანიოტის ნათქვამი შეიტყო. „ვიერიმ ხელფასის მომატება გვთხოვა და ამიტომ ვყიდით“ — განაცხადა კრანიოტიმ. „მუნჯმა“ უპასუხა: „არ მესმის, კრანიოტი რას მიდ-მოდება. მან თქვა, თითქოს მე ჯამავირის გაზრდა მოვითხოვე. ტყუილია. როცა ასეთ რამეს გაბრალებენ, თავისდაუნებურად დაფიქრდები, ღირს თუ არა იმ გუნდში დარჩენა, რომლის პრეზიდენტიც შენზე ჭორებს ავრცელებს“. კრანიოტიმ ხელი მოითბო. 50 მილიონი დოლარი მიითვალა და ვიერი „ინტერში“ გადავიდა.

ადამიანი-ყინული

კრისტიანს თავისი ცრემლები სახალხოდ არასოდეს გამოუტანია. ტიფოზები გაოგნდნენ, როცა მტირალი „მონსტრი“ ნახეს. ეს 1998 წელს საფრანგეთში მოხდა. მაშინ „სკუადრა აძურა“ მასპინძლებთან პენალტების სერიაში დამარცხდა.

ამ ამბიდან ერთ წელიწადში იტალიური გაზეთები ახლა უკვე „ლაციოს“ ევრჩემპიონების გამო ატირებული ვიერის სურათებით იყო აჭრელებული. სათაურები კი ასეთი შინაარსის — „აისბერგი გალღვა“. საგულისხმოა, რომ „მუნჯს“ სწორედ თვალცრემლიანი ვიერის ნახვის შემდეგ გაუჩნდა მრავალი თაყვანისმცემელი ქალი.

ცივი კაცის იმიჯი „ბობოს“ საბოლოოდ ფილმში („პიკასოს სახე“) გადაღებამ მოუხსნა. მოგვიანებით, „ყინულმა“ პირი მოაღო და მწვრთნელებთან ურთიერთობის ამბებიც დაფქვა. „ატლეტიკოში“ რადომირ ანტიჩს ვერ გაუგო, „იუვენტუსში“ კი მარჩელო ლიპის.

ანტიჩი მადრიდში არიგო საკიმ რომ შეცვალა, დიდხანს ესაუბრა ვიერის დარჩენაზე, მაგრამ „ბობოს“ იტალია ენატრებოდა და სამშობლოში დაბრუნდა. „ძალით ჩემი დატოვება საკისაც არ სურდა და ჩვენს შორის კონფლიქტი ხესუს ხილი ხილის შეთხზულია. წასვლის შესახებ რომ ვუთხარი, ეწყინა და გამჭორა, თითქოს საკის ვეკამათე“.

რაც შეეხება „იუვენტუსიდან“ გადასვლას, „ატალანტასთან“ მატჩის შესვენების დროს ვიერი და ლიპი გვარიანად წაკინკლაჯვდნენ, მაგრამ როცა ლიპის „ინტერი“ ჩააბარეს, შერიგდნენ.

მკვლელი საჯარიმოში

ეს ორი სიტყვა მისი სტილის გამოძახილია. „ბობოს“ სივრცის შეგრძნების განსაკუთრებული უნარი აქვს — თქვა ჯოვანი ტრაპატონიმ. მას ბურთის ტრაექტორიის გამოცნობა პასის გაკეთებამდე წამით ადრე შეუძლია. გარდა ამისა, სხვა ფორვარდებისგან განსხვავებით, მიწაზეც და ჰაერშიც ერთნაირად ძლიერია. ვიერის ბურთის შენარჩუნება, დამალვა ტან-ფეხით შესანიშნავად ეხერხება. მუდმივად კარზეა დაგეშილი. შორიდანაც კარგად ურტყამს. კარიდან თხუთმეტ მეტრზე ახლოს თუ მიუშვეს, მისი გაჩერება ურთულესი საქმეა. საჰაერო ორთაბრძოლაშიც შეუდარებელია. ბოლო, მილანურ დერბიში მან მალდინი ცხვირგატეხილი გაისტუმრა.“

შემადგენლობაში ასეთი მეგოლე რომ ჰყავს, მწვრთნელიც ცდილობს, თამაში მასზე ააწყოს. ასეა გუნდშიც და ნაკრებშიც.

ბიზონი

ეს მეტსახელი ერთადეროთია, ვიერის ოდნავ რომ სწყინს, მაგრამ მისი ტანისა და კუნთების პატრონისთვის ზედგამოჭრილია. რონალდოსავით ბურთს ზედიზედ ორჯერ ფეხს ვერ გადაატარებს, მაგრამ ბიზონივით კარისკენ რომ დაიძრება, მაისურაზე ჩამოკიდებულ მცველს გუთანივით მიათრევს.

ევრო 2000-ის შემდეგ იტალიელი მიმომხილველები სინანულით აღნიშნავდნენ, რომ სწორედ ბიზონივით კაცი აკლდა „სკუადრა აძურას“. ის რომ ყოფილიყო, საფრანგეთს შავ დღეში ჩაგდებდაო. მაშინ ვიერი ტრავმირებული იყო და ევროპის ჩემპიონატზე გუნდს ვერ გაჰყვა. უმნიშვნელობა იმ სეზონში „ინტერსაც“ აშკარად დაეტყო. გაზაფხულზე დაშავებულმა ფეხბურთელმა გადამწყვეტ მატჩებში ვერ ითამაშა და „შავლურჯებს“ სკუდეტო გვერდზე დარჩათ. არადა, იმ წელს 23 მატჩში 24(!) გოლი გაიტანა და „ოქროს ბუცის“ უმთავრესი კანდიდატი გახლდათ.

„ბობოს“ პროგრესზე „ინტერში“ ციფრები ლაპარაკობენ. მისვლის დღიდან ოთხ სეზონში: 13-18 — 22-24 გოლი. ბომბარდირობა მისი მიზანი არაა. რაც შეიძლება მეტი უნდა გავიტანო, მაგრამ მთავარმეგოლეობას „ინტერთან“ ერთად სკუდეტოს მოგება მირჩევნიაო, ამბობს.

ვაჟა ხუციშვილი

ჰიცფელდს ალიონი წაჰგვარეს: ელბერი გალიონდა



მიუნხენის „ბაიერნმა“ რი მაკი იყიდა და ჯოვანი ელბერი მოიძულა. არადა, ბრაზილიელი ის კაცი არაა, ჭკუათმყოფელმა სათადარიგოა სკამზე ჯდომით მოაცდინოს და აჰა — „ბაიერნის“ კომერციულმა მენეჯერმა ქვეყანას მოსდო, ელბერი უკვე საფრანგეთშია და იქაურ ჩემპიონ „ლიონში“ სამედიცინო შემოწმებას უტარებენო.

მოკლედ, „ბაიერნი“ და „ლიონი“ სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდნენ და 31 წლის ფორვარდიც დაიყაბულეს.

სატრანსფერო თანხა ჯერ არ გახმაურებულა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ელბერი ევროებში ოთხ მილიონიან კონტრაქტს მოითხოვდა. უცნობია კონტრაქტის ხანგრძლივობაც.

„ბაიერნის“ გულდაწყვეტილმა დამრიგებელმა ოტმარ ჰიცფელდმა კი ესღა დასძინა: „რა თქმა უნდა, ჯიგარდამწვარი ვარ — ჯოვანისთან ბევრი რამ მაკავშირებს და ეს იოლი სულაც არაა. მე ელბერის ყველაზე დიდი ფანი ვარ, მაგრამ რადგან „ბაიერნის“ ყველაზე დიდი ფანიც ვარ, იძულებული ვარ, ის გავაკეთო, რაც ყველაზე მთავარია კლუბისთვის“.

დავით თავართქილაძე

სარგებელი: კროკერ

წარმოგიდგენთ

პროპოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
შოტლანდია. პრემიერლიგა. IV ტური								
30 აგვისტო								
19.00	091	სელტიკი-ლივინგსტონი	1.15	6.0	14.0		1	1,06 4,19
	092	სელტიკი-ლივინგსტონი 0:1	1,4	3,8	4,2			
19.00	093	ჰიბერნიანი-აბერდინი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	094	მიზერველი-პარტიკი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
31 აგვისტო								
19.00	095	კილმარნოკი-დანდი	2.05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
19.00	096	დანდი იუნაიტედი-რენჯერსი	12,5	5,3	1,2	3,72	1,09	1
19.00	097	ჰარტსი-დანფერმლაინი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
გერმანია								
რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). V ტური								
29 აგვისტო								
20.45	122	ვერდერი(მ)-შალკე(მ)	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
30 აგვისტო								
17.00	123	ერფინგენი-ქემნიცი	2,05	3,3	3,1	1,26	1,23	1,59
17.00	124	[illegible]	4,2	2,8	1,6	1,68	1,15	1,01
17.00	125	[illegible]	1,8	3,4	3,5	1,17	1,18	1,72
31 აგვისტო								
17.00	126	[illegible]	2,4	3,3	2,45	1,38	1,21	1,4
გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). V ტური								
30 აგვისტო								
17.30	130	ფეიისი-ბაიერნი(მ)	3,1	3,4	2,0	1,62	1,21	1,25
17.30	131	ეინტრაჰტი-ვეენი	2,1	3,3	3,0	1,28	1,23	1,57
17.30	132	[illegible]	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
17.30	133	კიერსი-ჰაარბრიკენი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
17.30	134	[illegible]	1,75	3,4	3,8	1,15	1,19	1,79
იტალია								
სერია A. I ტური								
30 აგვისტო								
21.00	137	რეჯინა-სამპდორია	2,2	2,9	3,4	1,25	1,33	1,56
31 აგვისტო								
18.00	138	ბრეშა-კიეგო	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47
18.00	139	ინტერი-მოდენა	1,25	5,0	10,0		1	1,11 3,33
	140	ინტერი-მოდენა 0:1	1,65	3,3	3,3			
18.00	141	იუვენტუსი-ემპოლი	1,2	5,3	12,5		1	1,09 3,72
	142	იუვენტუსი-ემპოლი 0:1	1,55	3,4	3,6			
18.00	143	ლაციო-ლეჩე	1,35	4,0	9,0		1	1,17 2,76
	144	ლაციო-ლეჩე 0:1	1,9	3,2	2,7			
18.00	145	პერუჯა-სიენა	1,65	3,2	5,6	1,08	1,27	2,03
18.00	146	უდინეზე-რომა	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.30	147	ბოლონია-პარმა	2,3	2,9	3,2	1,28	1,33	1,52
1 სექტემბერი								
23.30	148	ანკონა-მილანი	5,0	3,2	1,7	1,95	1,26	1,11
ესპანეთი. I დივიზიონი. I ტური								
31 აგვისტო								
21.00	185	ვალენსია-ვალიადოლიდი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	186	ვალენსია-ვალიადოლიდი 0:1	1,95	3,2		2,6		
21.00	187	სევილია-ატლეტიკო	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
21.00	188	ალბასეტე-ოსასუნა	2,35	3,0	3,0	1,31	1,31	1,5
21.00	189	მალაგა-ვილიარეალი	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55
21.00	190	რეალი-ბეტისი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	191	რეალი-ბეტისი 0:1	1,9	3,2	2,7			
21.00	192	ესპანიოლი-სოსიედადი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
21.00	193	სელტა-მურსია	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
21.00	194	რასინგი-მალიორკა	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
21.00	195	სარაგოსა-დეპორტივო	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
21.00	196	ბილბაო-ბარსელონა	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
საფრანგეთი. I დივიზიონი. V ტური								
30 აგვისტო								
20.15	212	გენგამი-ლიონი	3,3	3,1	2,15	1,59	1,3	1,26
23.00	213	ოსერი-რენი	1,75	3,1	4,8	1,11	1,28	1,88
23.00	214	ლე მანი-სტრასბური	2,25	3,0	3,2	1,28	1,32	1,54
23.00	215	მონპელიე-პსჟ	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
23.00	216	ნანტი-ბორდო	2,15	3,1	3,3	1,26	1,3	1,59
23.00	217	სოშო-ლილი	2,05	3,1	3,5	1,23	1,29	1,64
23.00	218	ტულუზი-ბასტია	2,15	3,1	3,3	1,26	1,3	1,59
31 აგვისტო								
21.30	219	ლანსი-ნიცა	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66
21.30	220	მონაკო-მეცი	1,4	3,8	8,0	1,02	1,19	2,57
	221	მონაკო-მეცი 0:1	1,95	3,2	2,6			
23.45	222	აიაჩო-მარსელი	2,8	3,0	2,45	1,44	1,3	1,34
საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური								
29 აგვისტო								
23.00	225	ბესანსონი-შატორუ	2,4	2,7	3,2	1,27	1,37	1,46
30 აგვისტო								
23.00	226	ამიენი-ლე ავრი	2,3	2,8	3,3	1,26	1,35	1,51
23.00	227	კაენი-ანჟე	1,8	2,9	4,8	1,11	1,3	1,8
23.00	228	კლერმონი-ლავალი	2,1	2,7	4,0	1,18	1,37	1,61
23.00	229	კრეტეი-ლორიანი	2,7	2,8	2,7	1,37	1,35	1,37
23.00	230	ვრენობლი-გენიონი	2,15	2,7	3,8	1,19	1,37	1,57
23.00	231	რუანი-ნიორი	2,6	2,7	2,9	1,32	1,37	1,39
23.00	232	ტრუა-ისტრი	1,85	2,9	4,6	1,12	1,31	1,77
23.00	233	ვალანსი-ნანსი	2,1	2,8	3,8	1,19	1,35	1,61
31 აგვისტო								
18.00	234	სედანი-სტეტიენი	2,1	2,8	3,8	1,19	1,35	1,61
პორტუგალია. სუპერლიგა. III ტური								
29 აგვისტო								
01.30	238	ჟილ ვისენტე-ფერეირა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
30 აგვისტო								
23.00	239	მორეირენსე-ბრაგა	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
01.15	240	ბოავიშტა-გიმარაეში	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
31 აგვისტო								
20.00	241	ბეირა მარი-ალვერკა	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
20.00	242	მარიტიმუ-რიუ ავე	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	243	მარიტიმუ-რიუ ავე 0:1	2,05	3,2	2,45			
20.00	244	ნასიონალი-ამადორა	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
23.45	245	აკადემიკა-ბენფიკა	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
1 სექტემბერი								
00.30	246	ბელენენსეში-ლეირია	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
ჰოლანდია. I დივიზიონი. III ტური								
29 აგვისტო								
23.00	261	ტილბურგი-ჰერენვეენი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
23.00	262	ვიტესი-ალკმაარი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
30 აგვისტო								
22.30	263	ტვენტე-პსვ	5,6	3,6	1,55	2,19	1,21	1,08
22.30	264	როდა-როზენდალი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	265	როდა-როზენდალი 0:1	1,95	3,2	2,6			
31 აგვისტო								
15.30	266	ფეიენოორდი-ბრედა	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	267	ფეიენოორდი-ბრედა 0:1	1,95	3,2	2,6			
17.30	268	აიაქსი-ზვოლე	1,1	7,5	17,0		1	1,03 5,2
	269	აიაქსი-ზვოლე 0:1	1,25	4,6	5,0			
17.30	270	გრონინგენი-დენ ჰააგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
17.30	271	უტრეხტი-ნაიმეგენი	2,0	3,4	3,3	1,25	1,24	1,67
17.30	272	ვალვაიკი-ვოლენდამი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
ბელგია. ჟუპილერ ლიგა. IV ტური								
29 აგვისტო								
23.30	297	ლიერსი-სტანდარდი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
30 აგვისტო								
23.00	298	სერკლი-ბეერსხოტი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
23.00	299	ანტვერპენი-ბრიუგე	5,0	3,6	1,6	2,09	1,21	1,1
23.00	302	ლუვიე-შარლეროა	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
23.00	303	სტ.ტრუიდენი-ვესტერლო	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
23.00	304	ანდერლეხტი-ბეეერენი	1,2	5,6	11,0		1	1,08 3,71
	305	ანდერლეხტი-ბეეერენი 0:1	1,5	3,6	3,6			
31 აგვისტო								
18.00	300	გენტი-ბეუსდენი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	301	გენტი-ბეუსდენი 0:1	1,95	3,2	2,6			
18.00	306	ვენეი-მუსკრონი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
23.00	307	მონსი-ლოკერენი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
ავსტრია. ბუნდესლიგა. VII ტური								
30 აგვისტო								
22.30	333	ადმირა-შტურმი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
22.30	334	ვრაცერი-მატერსბურგი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	335	ვრაცერი-მატერსბურგი 0:1	1,95	3,2	2,6			
22.30	336	პაშინგი-ბრეგენცი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
31 აგვისტო								
19.30	337	სალცბურგი-აუსტრია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
22.30	338	რაპიდი-კერნტენი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	339	რაპიდი-კერნტენი 0:1	1,9	3,2	2,7			
შვეიცარია. სუპერლიგა. VIII ტური								
30 აგვისტო								
22.30	347	აარაუ-ციურიხი	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
22.30	348	სტ.გალენი-ვილი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		31 აგვისტო						
19.15	349	ერასპოპერი-ბაჰელი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.15	350	სერვეტი-იანგ ბოისი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.15	351	თუნი-ქსამაქსი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		დანია. სუპერლიგა. VI ტური						
		30 აგვისტო						
20.00	365	ოლბორგი-ჰერფიოლგე	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		31 აგვისტო						
18.00	366	ესბიერგი-მიდტიულანდი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
18.00	367	ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ	3,5	3,3	1,95	1,69	1,25	1,22
18.00	368	ოდენსე-ვიბორგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.00	369	ფრემი-აკადემისი	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
20.35	370	კოპენჰაგენი-ორჰუსი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	371	კოპენჰაგენი-ორჰუსი 0:1	2,05	3,2	2,45			
		დანია. I დივიზიონი. V ტური						
		28 აგვისტო						
22.00	384	სკიოლდი-რანდერსი	2,6	3,6	2,2	1,5	1,19	1,36
		შვედეთი. ალსვენსკა. XX ტური						
		31 აგვისტო						
18.00	397	ენჩიოპინგი-ჰელსინგბორგი	3,6	3,4	1,85	1,74	1,22	1,19
18.00	398	ლანდსკრონა-ჰალმსტადი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
20.00	399	პამარბი-იორგრიტე	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
		1 სექტემბერი						
22.00	400	სუნდვალი-იორებრო	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
22.00	401	გიოტებორგი-ელფსბორგი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
22.00	402	მალმიო-იოსტერი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	403	მალმიო-იოსტერი 0:1	1,75	3,2	3,0			
23.00	404	იურგორდენი-აიკ	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
		შვედეთი. სუპერეტა. XXII ტური						
		30 აგვისტო						
19.00	407	ვესტერიოსი-ფალკენბერგი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
19.00	408	ფრიოლუნდა-სილვია	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
	409	ფრიოლუნდა-სილვია 0:1	1,65	3,4	3,2			
		31 აგვისტო						
20.00	410	ფორვარდი-ბოდენსი	2,1	3,5	2,8	1,31	1,19	1,55
20.00	411	ოპერა-ჰეკენი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
21.00	412	ბრომაპოიკარნა-კალმარი	3,0	3,5	2,0	1,61	1,2	1,27
		1 სექტემბერი						
23.00	413	ნორჩიოპინგი-ატვიდაბერგი	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62
		ნორვეგია. I დივიზიონი. XXI ტური						
		31 აგვისტო						
18.00	426	ბერგენი-ალტა	1,6	4,0	4,2	1,14	1,15	2,04
21.00	427	ფრედრიკსტადი-იორნი	1,3	4,4	7,5	1	1,1	2,77
	428	ფრედრიკსტადი-იორნი 0:1	1,9	3,2	2,7			
21.00	429	ჰიოდი-სტარტი	2,1	3,8	2,6	1,35	1,16	1,54
21.00	430	რაუფოსი-ჰამარი	2,25	3,5	2,5	1,36	1,18	1,45
21.00	431	ოსლო იოსტი-ჰაონეფოსი	5,0	4,0	1,5	2,22	1,15	1,09
21.00	432	სტრიომსგოდსეტი-მოსი	1,9	3,6	3,1	1,24	1,17	1,66
21.00	433	სანდეფიორდი-სკეიდი	1,9	3,6	3,1	1,24	1,17	1,66
21.00	434	მანდალი-ჰაუგესუნდი	2,15	3,6	2,6	1,34	1,17	1,5
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIV ტური						
		28 აგვისტო						
20.30	437	ტამპერე-იარო	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XVIII ტური						
		31 აგვისტო						
18.00	438	პიკ-ტამპერე	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
20.30	439	ვაჰი-ალიანსი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
20.30	440	კუპ-კუოპიო	1,85	3,4	3,6	1,19	1,22	1,74
20.30	441	ტურკუ-პაამეენლინა	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
		1 სექტემბერი						
20.30	442	ჰაკა-იარო	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	443	ჰაკა-იარო 0:1	1,9	3,2	2,7			
20.30	444	ინტერი-ლაპტი	1,85	3,4	3,6	1,19	1,22	1,74
20.30	445	იოკერიტი-მიკპა	3,0	3,4	2,15	1,59	1,25	1,31
		თურქეთი. სუპერლიგა. IV ტური						
		29 აგვისტო						
22.00	476	დენიზლი-ბეშიქთაში	5,3	3,5	1,6	2,1	1,22	1,09
		30 აგვისტო						
19.00	477	ელაზიგი-ადანა	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
21.00	478	მალათია-სამსუნი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
21.00	479	დიარბაქირი-ფენერბაჰჩე	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
21.00	480	გაზიანთეფი-კონია	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		31 აგვისტო						
19.00	481	ისთანბული-რიზე	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
21.00	482	ტრაბზონი-სებათი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	483	ტრაბზონი-სებათი 0:1	1,65	3,3	3,3			
21.00	484	გალათასარაი-ვენსლერბირლიგი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	485	გალათასარაი-ვენსლერბირლიგი 0:1	1,9	3,2	2,7			
21.00	486	ანკარაგიუკიუ-ბურსა	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. VI ტური						
		30 აგვისტო						
17.25	510	სპარტა-სლავია	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
20.15	511	ტეპლიცე-სინოტი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	512	ტეპლიცე-სინოტი 0:1	1,95	3,2	2,6			
20.15	513	პრეიბრამი-ბუდეიოვიცე	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	514	პრეიბრამი-ბუდეიოვიცე 0:1	2,05	3,2	2,45			
20.15	515	სიგმა-ოპავა	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
20.15	516	ბრნო-ბლშანი	1,25	5,3	9,0	1,01	1,09	3,33
20.15	517	ბანიკი-პლზენი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	518	ბანიკი-პლზენი 0:1	2,05	3,2	2,45			
		1 სექტემბერი						
19.40	519	იაბლონეცი-ლიბერეცი	2,7	3,0	2,5	1,42	1,29	1,36
20.15	520	ზლინი-ჟიჟკოვი	2,45	3,0	2,8	1,34	1,3	1,44
		პოლონეთი. I ლიგა. IV ტური						
		29 აგვისტო						
23.00	556	ლეგია-ლეხი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	557	ლეგია-ლეხი 0:1	2,05	3,2	2,45			
		30 აგვისტო						
20.30	558	სვიტი-ვურნიკი	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
20.30	559	ამიკა-ვისლა	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
22.00	560	ვიძევი-ლეჩნა	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
		31 აგვისტო						
18.00	561	კატოვიცე-ოცრა	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
20.00	562	ვროცლინი-პოლონია	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	563	ვროცლინი-პოლონია 0:1	1,65	3,3	3,3			
20.00	564	პლოცკი-პოლკოვიცე	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
		შვედეთი. თასი. 1/4 ფინალი						
		28 აგვისტო						
22.00	693	ჰალმსტადი-ტრელებორგი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
		უეფას თასი. I ეტაპი. II მატჩები						
		28 აგვისტო						
17.30	719	სიონი(ბ)-პუხოვი	2,6	3,1	2,3	1,41	1,22	1,32
18.00	720	შირაქი-ნორდსიელანდი	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23
19.00	721	სარტიდი-სარაევო	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	722	ბანანცი-პაპოელი	3,3	3,2	2,05	1,62	1,26	1,24
19.30	723	ბელასიცა-პუბლიკუმი	3,0	3,2	2,25	1,54	1,28	1,32
20.00	724	დუდელანჟი-პეტრუალეა	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
20.00	725	ნისტრუ-ცრვენა სვეზდა	4,6	3,6	1,65	2,01	1,21	1,13
20.00	726	ტორპედო(ქ)-ლანსი	4,2	3,4	1,7	1,87	1,21	1,13
20.00	727	დნიპრო-ვალუკი	1,1	6,0	14,0	1	1,01	4,19
20.00	728	მეტალურგი-დინამო(მ)	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
21.00	729	ვარტეკსი-ლევადია	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
21.00	730	ტალინი-ოდენსე	4,4	3,5	1,65	1,94	1,2	1,12
21.00	731	პლოცკი-ვენტსპილსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
21.30	732	ლევსკი-ატირაუ	1,1	6,0	14,0	1	1,01	4,19
21.45	733	მაკაბი-ჭაიმბრანი	1,1	6,0	14,0	1	1,01	4,19
22.00	734	ზიმბრუ-ლიტექსი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
22.00	735	ანორთოსისი-ჟელეზნიჩარი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
22.00	736	ლინი-რუნავიკი	1,05	7,0	17,0	1	1	4,95
22.00	737	დებრეცენი-ეკრანასი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
22.15	738	სანტა კოლომა-ესბიერგი	14,0	6,0	1,1	4,19	1,01	1
22.30	739	სტია�ა-ნემანი	1,15	5,3	12,5	1	1,05	3,72
22.30	740	იანგ ბოისი-მიკპა	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
22.30	741	ვრინდავიკი-კერნტენი	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26
23.00	742	დინამო(მნ)-ბრიონდბიუ	2,9	3,3	2,2	1,54	1,25	1,32
23.00	743	კამენი-ეტცელა	1,05	8,0	17,0	1	1	5,44
23.00	744	კლაესვიკი-მოლდე	5,6	3,8	1,5	2,26	1,18	1,07
23.00	745	ფილკირი-აიკ	3,8	3,2	1,9	1,73	1,26	1,19
23.00	746	ფერენცვაროში-ბირკირკარა	1,03	9,0	20,0	1	1	6,2
23.00	747	ფერი-აპოელი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
23.15	748	ჰაიდუკი-ჰაკა	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
23.15	749	ქსამქსი-ვალეტა	1,04	8,0	17,0	1	1	5,44
23.30	750	ლოკერენი-დინამო(ტ)	1,1	6,0	14,0	1	1,01	4,19
23.30	751	ლომანიანი-ტორპედო(მ)	16,0	7,0	1,07	4,86	1	1
23.30	752	დანდი-ვლაჭნია	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
23.30	753	პორტადანი-მალმიო	5,0	3,6	1,6	2,09	1,21	1,1
23.45	754	ტნს-სიტი	17,0	7,0	1,07	4,95	1	1
23.45	755	შელბურნი-ოლიმპია	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
24.00	756	კატოვიცე-ცემენტარნიცა	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
01.00	757	ლეირია-კოლრეინი	1,1	6,5	15,0	1	1,02	4,53
		უეფას სუპერთასი (მონაკოში)						
		29 აგვისტო						
23.45	761	მილანი-პორტუ	2,0	3,1	3,6	1,21	1,28	1,66

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		29 აგვისტო			
23.45	5509	მილანი-პორტუ	3,0	2,8	2,0

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		29 აგვისტო		
23.45	5209	მილანი-პორტუ	1,75	1,85

შემდეგ ეტაპზე გასვლა

		29 აგვისტო		
23.45	6011	მილანი-პორტუ	1,45	2,3

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		29 აგვისტო		
23.45	5309	მილანი-პორტუ	1,75	1,85

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესული ზაფეგულად ჩაითვლება)

		29 აგვისტო		
23.45	5409	მილანი-პორტუ	1,65	2,3

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		29 აგვისტო									
23.45	5109	მილანი-პორტუ	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,5	20,0	10,0	5,6

ეროპოს დიდების ბიურო (წერეთლის გამზირი, ეორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც იმუშავებს



ბურთს დოლოვაროვი ფოტო

საქართველო — ბელარუსი. არჩილ ყლენტი ფარქვეშაც შედიოდა

ტანხმელ, სიფრიფანა არჩილ ყლენტს საქმის არმცოდნე კაცი ქუჩაში რომ შეეყაროს, ვერაფრით იფიქრებს, რომ ეს ბიჭი საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია. საკმარისია, მოედანზე შეავლო თვალი ამ ციცქნა კალათბურთელს, უმალ დარწმუნდები, რომ უბრალო მოთამაშე არ გახლავთ. ყლენტი საქართველოს ნაკრების ხორვატი მწვრთნელის დრაჟენ ბრაიკოვიჩის რჩეულია და უცხოელმა ახლახან ოცნებაც აიხდინა — არჩილი თავისთან, „დინამოში“ გადაიყვანა. ყლენტს, რომელიც ფიქრობს, რომ ეროვნულ ნაკრებს გამთამაშებლის პრობლემა არც ისე აწუხებს, სამშაბათს „დინამოს“ ბაზაზე შევხვდით...

გამთამაშებელი გამთამაშებლის პრობლემას ვერ ხედავს

არჩილ ყლენტი თუებით ლაპარაკს შეეჩვია

— თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ „აზოტში“ რჩებოდი...

— „აზოტის“ ფინანსური პრობლემები რომ არა, იქ დავრჩებოდი. ცოტა ხნის წინ კლუბში ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ შემდეგ საქართველოს მთავრობამ ქარხნის ახალ მფლობელს, კომპანია „იტერას“ დიდი ვალი დაადო და რუსმა ბოსებმაც ბიუჯეტი გაგვინახევრეს. ძალიან მიყვარს „აზოტი“ და დიდი მადლიერი ვარ ყველა მისი ხელმძღვანელის, მაგრამ გაცილებით უკეთესი პირობები შემომთავაზა „დინამომ“ და...

— „დინამოს“ აქამდეც სურდა შენი „აზოტიდან“ გადაბირება... მაშინ რატომ თქვი უარი?

— რუსთაველები უკეთეს პირობებს დამპირდნენ, თანაც „აზოტში“ თამაშის მხრივ პრობლემა არ მექნებოდა, „დინამოს“ კი უფრო სოლიდური მოთამაშეები ჰყავს უკანა ხაზში და კონკურენციაც დიდია. ბოლო სეზონის პირველ წრეშიც ხომ „დინამოში“ ვთამაშობდი, მაგრამ კონკურენციის გამო არცთუ დიდი ხნით მიწევდა მოედანზე ყოფნა. მაშინაც ძირითადად ამ მიზეზის გამო წავედი „აზოტში“.

— ახლა ალბათ უფრო ბევრს ითამაშებ. ცნობილია, რომ „დინამოს“ მწვრთნელს ძალიან მოსწონხარ.

— არ ვიცი, რა იქნება. ისე კი, კოტე ტულუშიც ძალიან კარგი გამთამაშებელია და საბოლოოდ ბრაიკოვიჩი გადაწყვეტს, ვინ რამდენი ხნით ათამაშოს. სხვათა შორის, „დინამოს“ მესამე გამთამაშებელი, ახალგაზრდა ლაშა გამყრელიძეც ძალიან პერსპექტიული კალათბურთელია. მოკლედ, კონკურენცია საკმაოა.

— „აზოტს“ ფინანსურად რომ გაუჭირდა, თავად დაუკავშირდი დინამოელებს?

— არა, „დინამოში“ გაეგოთ რუსთაველთა ამბავი და თავად შემეხმიანნენ. ბევრი არ მიფიქრია, უმალ დავთანხმდი „დინამოს“ შემოთავაზებას. მთავარი მაინც ალბათ ისაა, რომ ნაკრების მწვრთნელების თვალწინ ვიქნები, ჩემი თითოეული ნაბიჯი ეცოდინებათ ბრაიკოვიჩსა და ტომარაძეს.

— ბრაიკოვიჩზე რას იტყვი, ნაკრების შეკრებაზე ალბათ კარგად გაიცანი ხორვატი მწვრთნელი...

— საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელია. სრულიად განსხვავებული და საკმაოდ საინტერესო ვარჯიშები აქვს. ვფიქრობ, მისი ცოდნა დიდად წაადგება „დინამოსაც“ და ნაკრებსაც. ბრაიკოვიჩის თანაშემწე ზურაბ ტომარაძესაც კარგად ვიცნობ. ძლიერი ტანდემია, სასიამოვნოა მათთან მუშაობა.

— ნაკრების თემას მივადექით... რას ფიქრობ ეროვნული გუნდის მომავალზე?

— ამას წინათ ტელეკომპანია „მზემ“ მიმიწვია სტუდიაში და მისმა წამყვანმა ინგა გრიგოლიამაც იგივე მკითხა. ვუპასუხე, თუ ლეგიონერები ჩამოვლენ, თუ შეკრებას მოვაწყობთ, თუ ესა და ეს გვექნება, წარმატებასაც მივაღწევთ-მეთქი. რა თუებით ლაპარაკობო... რაც ნაკრებში ვარ, სულ სათუოდ იყო ყველაფერი და შევეჩვიე ასეთ საუბარს-მეთქი. იგივეს გეტყვი შენც. რა ვქნა, სანამ რეალურ ნაბიჯებს არ დავინახავ უკეთესობისკენ, სხვანაირი პასუხის გაცემა გამიჭირდება. ისე კი, უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა იმედს გვაძლევს და ვნახოთ, რა იქნება.

— ბევრი თვლის, რომ საორგანიზაციო საკითხები რომც მოგვარდეს, გამთამაშებლის პრობლემას ვერსად გავექცევით. რას ფიქრობს ნაკრების გამთამაშებელი ამის თაობაზე?

— ვფიქრობ, ნაკრებში არც ისე სავალალოდ არის საქმე გამთამაშებლის მხრივ, როგორც ლაპარაკობენ. ამბობენ, აქამდე უკანა ხაზელთა პრობლემა არასდროს გვქონიაო. როგორ გვექნებოდა, როცა ძირითადად დაბალი კალათბურთელები გვყავდა და ტანმაღალი იშვიათად თუ გამოერეოდა ამდენ დაბალში ყოველთვის გამოიჭენებოდა კარგი უკანახაზელი. ახლა კი ყველაფერი პირიქითაა. ნაკრებს სიმაღლის პრობლემა არ აქვს და ლიდერებიც მეფარეები გვყავს. როცა სამი ნბა-ელი ფორვარდი თუ ცენტრი გყავს, ძნელია, იქ გამთამაშებელმა ჩაყაროს ბურთები.

— ქულები ხომ არაა მთავარი, გამთამაშებელს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციებიც აკისრია.

— აკისრია და აბა, რომელმა გამთამაშებელმა შეირცხვინა თავი ნაკრების ბოლო მატჩებში?! ბელარუსთანაც და ბულგარეთთანაც უკანა ხაზმა საკმაოდ კარგად ითამაშა. დაბლებს ამ გუნდებთან სტუმრად წაგებულ მატჩებშიც არ მიგვიძღვის ბრალი.

— ესე იგი, მიიჩნევ, რომ გამთამაშებლის პრობლემა არ არსებობს?

— გამთამაშებლის პოზიცია ალბათ ყველაზე სუსტია, მაგრამ არც ისე უსუსური, რომ ნაკრების წარმატებები შეაფერხოს. ვფიქრობ, არასწორი ტაქტიკის გამო ჩანდა, რომ ჩვენს გამთამაშებლებს უჭირდათ საერთაშორისო მატჩებში. მთავარია, მწვრთნელმა სწორი ტაქტიკა აირჩიოს და ზუსტად აუხსნას გამთამაშებელს თავისი ფუნქციები კონკრეტულ მატჩში.

— კარგ გამთამაშებელს რა თვისებები უნდა ჰქონდეს?

— სათამაშო სიტუაციას უნდა აკონტროლებდეს, დაცვაში იყოს ძლიერი და მთავარი: მაღლებს უნდა შეუქმნას ხელსაყრელი გარემო; პასის მიცემით მოახერხებს ამას თუ სხვა რამით.

— ამ თვისებებიდან შენ რომელს ფლობ?

— მეტ-ნაკლებად ყველაფერს ვახერხებ, მაგრამ თუ ნატვრაა, ფიზიკურად მომძლავრებას ვინატრებდი, ყველაზე მეტად სისუსტეს ვუჩივი.

— კოზირი...

— სისწრაფე, ბურთის ჩქარი გადატანა მეტოქის ნახევარზე და შეძლებისდაგვარად შეტევის თავადვე დაგვირგვინება. ჩემი ნაკლოვანებების ამ კოზირით დაფარვას ვცდილობ და საქართველოში იოლად გამომდის.

— იდეალურ გამთამაშებლად ვის მიიჩნევ?

— საერთოდ, ჯონ სტოქტონს, ისე კი, ევროპაში შარუნას იასიკევიჩუსი მომწონს, ნბა-ში — ჯეისონ კიდი.

ირაკლი პერტაია

უგუნდოთა გუნდი

ვინ იყიდის საჩემპიონო ხუთეულს?

ჩვენ შეძლებ[illegible] ცდილ[illegible]ბთ, დროულად მოგაწოდოთ კალათბურთელის გუ[illegible] გუნდში გადასვლის ამბავი, მაგრამ თითქმის არაფერს ვამ[illegible]ებზე, რომელთა ბედიც ჯერ არ გარკვეულა. არადა [illegible] ასეთები საკმარისად არიან, რომლებიც ეროვნულ ჩემპ[illegible]ში წამყვან მოთამაშეებად ითვლებიან.

„დინამოს“ გარდა ყველა კლუბი უჩივის უფულობას და შედარებით „იაფ მუშახელ[illegible]“ [illegible]ებს. ჩემპიონთა შემდეგ სიძლიერით „ბასკო“ და „სტუ-ჯეოსე[illegible]“ [illegible], რომლებმაც თითქმის უკვე დაკომპლექტეს შემადგენლობა. [illegible]ასუ-ც თითქმის შევსებულია, ხოლო კიდევ ერთი ასე თუ ისე შემ[illegible] გუნდი, „აზოტი“, ფინანსურ კრიზისშია და ახლების შეძენას კი არა, ძველი შემადგენლობის შენარჩუნებასაც ვერ ახერხებს. არადა, შეხეთ, რა ხალხია უგუნდოდ: კახა შენგელია, რევაზ ჩხეიძე, ლევან ქარაბაკი, დავით თორთლაძე, მამუკა აბრამიძე.. თანაც ეს ისეთი ხალხია, ხუთივე სათამაშო პოზიციაზე რომ გადაანაწილებ. ამათ საშუალო დონის საოადარიგონიც რომ დავამატოთ, და იოლადაც შეიძლება ასეთი ხალხ[illegible] შ[illegible]ება, საჩემპიონო გუნდი გამოვა. ეს „უგუნდოთა ხუთეული“ ნებისმიერი კლუბის ხუთეულზე ძლიერი თუ არ არის, არც არაფრით ჩამორჩება.

და თუ თითქმის ყველა მოწინავე გუნდი დაკომპლექტებულია, დანარჩენებს კი ამ დონის მოთამაშეების შესაძენად ფული არა აქვთ, სად უნდა წავიდეს ეს ხალხი?

...ჩემპიონატის დაწყებამდე კი თვეზე ოდნავ მეტი რჩება.

ირაკლი პერტაია



ალენ აივერსონი მანუ ჯინობილის გასცდა

პუერტო რიკოს დედაქალაქ სან ხუანში მიმდინარე სრულიად ამერიკის საოლიმპიადო კვალიფიკაციურ ტურნირზე ცენტრალური მატჩი გაიმართა. ამერიკა არგენტინას შეხვდა და შარშანდელისგან განსხვავებით, გაიმარჯვა.

ამერიკამ შური იძია, გული კი ვერ მოიფხანა

არგენტინა ჯვლავ არგენტინობს

შარშან ინდიანაპოლისში გამართულ მუნდიალზე არგენტინელებმა ჯგუფურ ეტაპზე შეარცხვინეს ამერიკელები და ცოტაც რომ გამართლებოდათ, ეგებ გუშინწინაც ემარჯვათ.

სამხრეთელებს უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდათ, თუ არ ჩავთვლით ჭარმაგ ანდრეას სკონოჩნის არყოფნას. ამერიკელთა ოპტიმალურ შემადგენლობაზე საუბარი კი მეტისმეტად ზოგადი თემაა, წესით, ნბა-მ ათი არგენტინის ნაკრები უნდა დაიტიოს, თუ მეტი არა.

გუშინწინდელი შერკინება თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, ამერიკელებმა მხოლოდ ბოლო წუთებზე გატეხეს სამხრეთელები. არგენტინელთაგან ძალიან ძლიერად ითამაშა ფაბრიციო ობერტომ, რომელმაც 9 სროლიდან მხოლოდ ერთი გააცუდა და ისიც გადამწყვეტ მომენტში. თამაშის დასრულებამდე 1,13 წამით ადრე არგენტინა 4 ქულას აგებდა და ობერტოს ნასროლს მატჩის საუკეთესო მოთამაშე ჯერმენ ონილმა დააფარა. სხეულმოსვირინგებულმა ალენ აივერსონმა, წინა მატჩში კანადასთან 7 სამქულიანით რომ ისახელა თავი, უმალ მოძებნა არგენტინელთა ფარისკენ გაფრენილი ვინს კარტერი, რომელმაც ეფექტურად ჩატენილი ბურთით არგენტინელებს იმედები დაუსაფლავა.

პირველ მეოთხედში ლიდერი 12-ჯერ შეიცვალა და ანგარიში თამაშის ბოლომდეც არაერთხელ გათანაბრდა. არგენტინელები ძირითადად პერიმეტრიდან იხვეჭდნენ ქულებს, ამერიკელებს კი ფარქვეშეთში დაებუდებინათ. სამწამიანი ზონის ბურჯები იყვნენ ჯერმენ ონილი და ტიმ დანკანი, თუმც დროდადრო არგენტინელი ობერტო გაუძვრა-გამოუძვრებოდათ ხოლმე.

ამ გამარჯვებით ამერიკელები ჯგუფის სათავეში გამაგრდნენ და ალბათ იოლად მოიპოვებენ კიდეც ათენური ოლიმპიადის საგზურს. დანარჩენი ორი საგზურის მფლობელი კი არგენტინის, პუერტო რიკოს, ბრაზილიასა და კანადას შორის უნდა ვეძიოთ.

ირაკლი პერტაია

პირველი წრე

კაცები

ანდრე აგასი (1, აშშ) — **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) 6:1, 6:2, 6:2; **ენდი როდიკი** (4, აშშ) — **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) 6:3, 7:6 (7:2), 6:3; **რაინერ შუტლერი** (8, გერმანია) — **უეინ არტურსი** (ავსტრალია) 4:6, 6:3, 6:2, 6:4; **პარადორნ შრიჩაფანი** (11, ტაილანდი) — **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) 2:6, 6:2, 6:3, 7:6 (7:4), **სხენგ შალკენი** (12, ჰოლანდია) — **ჟულიენ ბუტე** (საფრანგეთი) 6:2, 6:3, 6:2; **დიმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — **გუსტავო კუერტენი** (14, ბრაზილია) 5:7, 6:2, 6:2, 4:6, 7:6 (7:1); **ფერნანდო გონსალესი** (15, ჩილე) — **მაიკლ ჩანგი** (აშშ) 6:3, 7:5, 5:7, 6:4; **აგუსტინ კალიერი** (19, არგენტინა) — **ვერნერ ეშაუერი** (ავსტრია) 7:6 (7:4), 7:2, 1:6, 6:4; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — **ფელიქს მანტია** (21, ესპანეთი) 6:4, 6:4, 6:4; **ალბერტ კოსტა** (25, ესპანეთი) — **რაემონ სლოიტერი** (ჰოლანდია) 7:6 (7:5), 7:6 (7:3), 2:6, 6:3; **ევგენი კაფელნიკოვი** (28, რუსეთი) — **კრისტოფ ფლიგენი** (ბელგია) 3:6, 7:6 (7:1), 6:2, 6:2; **რადეკ სტეპანეკი** (ჩეხეთი) — **ფელისიანო ლოპესი** (29, ესპანეთი) 6:4, 6:4, 6:4; **ფლავიუ სარეტა** (ბრაზილია) — **ვინსენტ სპადია** (32, აშშ) 6:3, 6:1, 5:7, 7:6 (10:8); **ხუან იგნასიო ჩელა** (33, არგენტინა) — **როკო კარანუშიჩი** (ხორვატია) 6:4, 7:6 (7:2), 6:3; **პიშამ არაზი** (მაროკო) — **ჯეფ ზალცენშტაინი** (აშშ) 6:1, 7:6 (7:4), 6:3; **ძსავიე მალისი** (ბელგია) — **ოლივიე როხუსი** (ბელგია) 6:3, 6:4, 6:2; **ივან ლუბიჩიჩი** (ხორვატია) — **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) 6:4, 6:2, 7:5; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — **ოლივიე მუტი** (საფრანგეთი) 6:0, 6:3, 6:1; **ლარს ბურგსმიულერი** (გერმანია) — **ლუის ორნა** (პერუ) 6:4, 4:6, 3:6, 7:5, 6:1; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — **კარლ ბეკი** (სლოვაკეთი) 4:6, 6:3, 7:5, 3:6, 6:4; **იონ ვან ლოტუმი** (ჰოლანდია) — **კრისტოფ როხუსი** (ბელგია) 6:0, 6:2, 6:2; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) 0:6, 7:5, 6:2, 6:2; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — **ფრანკო სკილარი** (არგენტინა) 6:3, 5:0 სკილარიმ შეწყვიტა; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) 6:3, 6:4, 6:2

ქალები

ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — **ანიკო კაპროში** (უნგრეთი) 7:5, 6:3; **ჯენიფერ კაპრიატი** (6, აშშ) — **კრისტინა ტორენს ვალერო** (ესპანეთი) 6:0, 6:1; **ანასტასია მისკინა** (7, რუსეთი) — **ჰენრიეტა ნაგიოვა** (სლოვაკეთი) 6:2, 3:6, 6:1; **შინობუ ასაგოე** (იაპონია) — **მაგდალენა მალეევა** (10, ბულგარეთი) 6:4, 6:3; **ელენა დემენტიევა** (11, რუსეთი) — **ალენა ვასკოვა** (ჩეხეთი) 6:2, 6:3; **აი სუგიამა** (15, იაპონია) — **კონჩიტა მარტინეს გრანადოსი** (ესპანეთი) 6:1, 6:0; **ლუდმილა ჩერვანოვა** (სლოვაკეთი) — **ელენა ბოვინა** (16, რუსეთი) 4:6, 7:6 (7:3), 6:4; **სილვია ფარინა ელია** (20, იტალია) — **მარია ემილია სალერნი** (არგენტინა) 6:4, 6:1; **ანა პისტოლეზი** (21, ისრაელი) — **კლოდინ შაული** (ლუქსემბურგი) 7:6 (7:5), 6:2; **ელენა დოკიჩი** (22, სერბეთი) — **ემანუელე გალიარდი** (შვეიცარია) 6:4, 6:2; **ნატალი დეში** (23, საფრანგეთი) — **ბეთანია მატეკი** (აშშ) 3:6, 6:4, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე** (29, იტალია) — **ევა ფისლოვა** (სლოვაკეთი) 6:4, 6:4; **მაგი სერნა** (30, ესპანეთი) — **ჩო იონ-ძონი** (სამხრეთ კორეა) 3:6, 6:2, 6:1; **ემილი ლუა** (საფრანგეთი) — **ალექსანდრა სტივენსონი** (31, აშშ) 6:2, 5:7, 6:4; **მარი-გაიანე მიძაელიანი** (32, შვეიცარია) — **მარლენ ვაინგარტნერი** (გერმანია) 6:3, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (33, სლოვენია) — **მორინ დრეიკი** (კანადა) 0:6, 7:6 (7:2), 6:1; **მარია შარაპოვა** (რუსეთი) — **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) 6:1, 6:1; **დინარა საფინა** (რუსეთი) — **კარლი გალიქსონი** (აშშ) 7:5, 6:2; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — **შტეფანი გერლაინი** (გერმანია) 6:3, 6:2; **ემი ფრეზერი** (აშშ) — **შენი პერი** (აშშ) 6:3, 6:1; **ტინა პინნიკი** (სლოვენია) — **ანჯელა ჰეინსი** (აშშ) 6:4, 6:2

REUTERS ნიუ იორკიდან

მაიკლ ჩანგი ჩოგბურთიდან კმაყოფილი და ცოტა თვითკმაყოფილიც წავიდა

სექსი ზურნით

ბებერი მეზურნის ბოლო სოლო და მარიას ხმა, მარა რა ხმა...

პიტ სამპრასის გაცილებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ნიუიორკულ სეფეკორტებზე 90-იანთა დიადი ამერიკული ოთხეულის (სამპრასი, აგასი, კურიე, ჩანგი) კიდევ ორი წარმომადგენელი გამოჩნდა — 31 წლის ჩანგმა კარიერის უკანასკნელი მატჩი ჩვეული შეუპოვრობით ჩაითამაშა, 33 წლის ანდრე აგასიმ კი კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მხცოვანობის მიუხედავად კარიერის მეცხრე სლემტიტულისთვის ისევე მგლურად იომებს, როგორც რომ მასზე 10 წლით უმცროსი ჯომარდოსნები.

დიახ, ჩუნგა ჩანგისთვის ეს მართლაც უკანასკნელი ნადირობა იყო. მან ხომ ჯერ კიდევ შარშან გამოაცხადა, რომ სახელოვან კარიერას წლეულს, მშობლიური სლემტურნირის შემდეგ გაასრულებდა.

პისტოლ პიტის პომპეზური, ბარაქიანი გაცილების ფონზე ჩანგის ეს „ნადირობა" უფრო მოკრძალებული გამოდგა. მან და ჩილელმა ფერნანდო გონსალესმა ნაშუადღევს ითამაშეს, როცა არც ტრიბუნები ყოფილა სავსე და არც მთელი ქვეყნის თვალები ყოფილა ფლეშინგ მედოუზისკენ მიპყრობილი.

მაგრამ მსოფლიოს ოდინდელი მეორმეჩოგნე და საფრანგეთის ღია პირველობის ყველა დროის უმრწემესი ჩემპიონი იმ დღეს მაინც ჯიგრიანად და ჰალალად გაირჯა, თითქმის ისე, თავის 17-წლიანი კარიერისას გამართული უდიადესი მატჩებისას რომ იცოდა. ამიტომაც არც მილეთის მიერ ნამატჩევს მისთვის მოწყობილი დგომელა ოვაციები იყო ყასიდი — თავიანთი გაუტეხელი ფალავანი ამერიკელებმა ჰალალადვე გააცილეს.

და მერე რა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩია აზიოამერიკელმა ეგრეც ვერაფრის მოგება ვერ შეძლო და რეიტინგსიის 222-ე საფეხურამდე დაქვეითდა, ხოლო წლეულს, თავისი გამოსამშვიდობებელი სეზონისას 10 ტურნირზე გამოვიდა და მხოლოდ ორ მატჩში იმარჯვა?! მადლიერი ქომაგი უწინარესად მის მიერ მოგებულ 34 ტიტულსა და კიდევ იმას მოიგონებს, რომ 1989 წელს, როცა პარიზში ცხოვრებაში პირველი და უკანასკნელი სლემტიტული მოიმკა, ის მხოლოდ 17 წლისა იყო...

„დღეს კაცურად გავერთე — ამბობდა ჩანგი გონსალესთან მარცხის მერე — ჩემი მიზანიც სწორედ ეგ გახლდათ, მსურდა, მთელი წელი სულ ასე ხალისიანად გამევლო, იმისდა მიუხედავად, მოვიგებდი თუ წავაგებდი. ასეთი ოვაციებით კი ბევრს არ აცილებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანებისთვის მე მართლაც რაღაცას წარმოვადგენ. და იმაზე კარგი რაღა უნდა იყოს, როცა ხვდები — შენი საქმით ბევრის გული შეგიძრავს, ბევრის ცხოვრება გაგილამაზებია."

ანდრე და ენდი

მაშ ასე: ჯამში 27 სლემტიტულის მომნაგვრელი ოთხეულიდან — სამპრასი (14), აგასი (8), კურიე (4), ჩანგი (1) — კორტზე მხოლოდ ჯადო ანდრანიკი დარჩა. ჰოდა, ახლა მთელი ამერიკა მისი და იმ ოთხეულის მთავარმემკვიდრის, ენდი როდიკის საფინალო შეხლის მოლოდინშია.

თავ-თავიანთი საქმის კეთება ანდრემ და ენდიმ იმ დღეს მართლაც კაცურად დაიწყეს. ბებერმა სახელიანი ესპანელი ალექს კორეჩა შემუსრა, (ისე, რომ მხოლოდ ხუთი გეიმი დაანება), ჭაბუკმა კი განუთესავთაგან უძლიერესს, ბრიტანელ ტიმ ჰენმანს მასთან ტოლსწორად პაექრობის შანსი მხოლოდ ერთ სეტში მისცა.

წლეულს ძალზედ მოვაინაჩრე კორეჩას ძლევა ეგებ სიძლიერის საზომად არც გამოდგებოდეს, მაგრამ აგასის იმდღევანდელი გარჯა მაინც შთამბეჭდავი რამ იყო.

რაც შეეხება როდიკისა და ჰენმანის შეხლას, ეს მატჩი უფრო დაწვრილებით საუბარს მოითხოვს.

საქმე ის არის, რომ მისთვის საარაკო ჩრდილოამერიკული ზაფხულობისას, როცა ენდიბოიმ სამი ტიტული მოიხვეჭა და ჩემპიონთა რბოლაში დაწინაურდა, ჰენმანი ერთადერთი გახლდათ, მისთვის ჩოგნის შებრუნება რომ შეძლო.

ისინი ერთმანეთს ვაშინგტონურ ნახევარფინალში გადაეყარნენ და თავისი პირველი ამერიკული ტიტულის გზაზე მდგარმა კუნძულელმა მაშინ 1:6, 6:3, 7:6 (7:1) იმარჯვა.

„ჰო, ჰენმანი ჩემი ზაფხულის ერთადერთი შავი ლაქა იყო, ამიტომაც ჩვენს ამ საპირველწრეო დაპირისპირებას ერთგვარად სიმბოლურადაც აღვიქვამ" — იძახდა ენდი.

სიტუაციის უფრო „გასიმბოლურებისთვის" კი გაუწყებთ, რომ ეს ბიჭი შაბათს 21 წლის გახდება.

და ტიმ ჰენმანი თვლის, რომ ამ მომენტისთვის ის მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნეა.

თქვენ როგორ ფიქრობთ?!

დღე პირველი

რაკიღა პიტ სამპრასის დიდი კორტიდან წასვლის გამო საპირველდღეო ამბები გაუშუქებელი დაგვრჩა, თავს მოვალედ ვრაცხთ, იმ ამბებს ოდნავ ბასტურმიანად მოვუბრუნდეთ.

იმ დღის მთავარსაჭორო მოვლენად ჩოგბურთის ზეპური წყვილის — კაცთა ამქრის ყოფილ პირველოსან ლეიტონ ჰიუიტისა და საქალეთის ამჟამინდელ ზედიაც კიმ კლაისტერსის პარალელური ბუქნაობა მიიჩნეოდა.

კიმსა და ლეიტონს იმედები არ გაუცრუებიათ — პირველმა მსოფლიოში 290-ე, აშშელ ამბერ ლიუს 6:2, 6:3 აჯობა, მეორემ კი რუმინელ ვიკტორ ჰანესკუს გადაურბინა 6:3, 6:2, 6:2.

ნერვის ანთებულობა არად დაიტყო და კიმის უსახელო თვისტომ ელს კალენსს 47 წუთში 6:1, 6:0-ით გაუსწორდა ტურნირის 1998 წლის ჩემპიონი ლინდსი დევენპორტი, რომელმაც — უნდა გახსოვდეთ — წინა შაბათს ჯენი კაპრიატისთან ჩასათამაშებელი ნიუჰეივენური ფინალი სწორედ რომ ფეხის ერთი მაკვარანცხი ნერვის ანთების გამო შეწყვიტა.

სხვაფრივ — დღის უმთავრეს მოულოდნელობებად მერვე ნომრად განთესილი კუდრაჭა ამერიკელი შავგოგოს, ჩანდა რუბინისა და მეცხრე ნომრად დადგენილი სტაბილური ფრანგის, სებასტიან გროჟანის ოტება იქცა. ჩია ჩანდამ უსახელოზე უსახელო ვენესუელელ მარია ვენტო-კაბჩისთან დათმო 4:6, 4:6 და მერე ამბობდა, დედას ვფიცავარ, წარმოდგენა არა მაქვს, რატომ წავაგეო. წლევანდელი უიმბლდონის ნახევარფინალისტმა გროჟანმა კი ვენტო-კაბჩიზე არანაკლებ უსახელო პარაგვაელ რამონ დელგადოსთან წააგო 4:6, 7:6 (7:3), 6:4, 6:7 (7:9), 4:6.

მარია შარაპოვას არამარტო უყურებენ, არამედ უსმენენ კიდეც

ასევე უსახელო ფრანგ გრეგორი კარასთან ხუთსეტიანი მარათონის (4:6, 6:4, 2:6, 7:5, 4:6) შემდეგ გაბუნძულდა აშშ-ის ღია პირველობის ოდინდელი ფინალისტი გრეგ რუზეცკი.

დღე მეორე

ამ დღის უმთავრეს შეხლებზე ჩვენ ზევითაც გავისაუბრეთ, ამიტომ ამ ქვეთავში მხოლოდ მეორე პლანის შეხვედრებზე შეჭერდებით.

ოღონდ, საკითხავი ეგ არის, საფრანგეთის წლევანდელი ღია პირველობის მაოხარი და უულიამსებო საჩოგნეთში ალბათ ტიტულის უმთავრესი ფავორიტი ჟუსტინ ენენარდენი „მეორე პლანის" შემსრულებლობას თუ დაჰყაბულდება .

იმ დღეს მან უნგრელი ანიკო კაპროში მოდრიკა, უსახელო გოგოცუნა, რომელმაც სახელის ფიორა ნატამალი შარშანდელი როლანგაროსობის პირველ წრეში სწორედ მისივე ძლევის გამო მოიღვაწა.

მსოფლიო რეიტინგსიის 129-ე ადგილოსან ანიკოს მცდელობა არც ამ ჯერზე დაუკლია, მაგრამ მისი სიჯიუტის წილ ჟუსტინმა ისე ხავერდოვნად და ჩუბინად იჩოგნავა, რომ შარშანდელი გაუგებრობის განმეორებაზე თვით ყველაზე ჩუკენ მაყურებელსაც არ უოცნებია.

მერე კი ხელი ჯენი კაპრიატიმაც გამოიღო, რომელიც თავის 27 წელს ისე ატარებს, ალბათ ნებისმიერ დრანცულას მოუნდება, 27 წლისა იყოს.

მრავალთვიური პაუზის შემდეგ გასულ შაბათს „პილოტ ჰენის" საჯილდაოზე თავისი პირველი ტიტულის მოძრეწმა ჯენიმ — აკი ანგარიშზეც დაატყობთ — უმოწყალოდ შემუსრა ისე-რა ესპანელი კრისტინა ტორენს ვალერო.

სხვა კი რაღა?!

ასევე წინა კვირაში ლონგაილენდურ სარბიელზე ტიტულშემნარჩუნებელი პარადორნ შრიჩაფანი იმ დღეს ფრანგ სირილ სოლნიესაც მოერია და მის მოულლელ ორგანიზმში შეჭრილ გრიპსაც. ის კარგად თამაშობდა, მე კი ცუდად ვიყავი, გაჯანჯლებული ოთხსეტიანი მატჩის მერე ასე იბოდიშებდა.

თუმცა ყველაზე მეტად ალბათ მაინც ვარდისფრად შემოსილმა რუსგოგო მარია შარაპოვამ გვაამა. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მისი საკორტო კვნესა-გოდება დიადრუს ერთან ჩვენს ტრადიციულ, კეთილმოგონებულ შეხმატკბილებას გვაგონებს, არამედ იმიტომაც, რომ ეს რძემარწყვა, ლოლონაყინა სექსგანთიადი ჩვენს ამ პროზაულ ჩოგნაობა-კალმოსნობაში სხვა, მიღმიერი, უფრორე შეჭქროლებული ძალების განთიადსაც აღძრავს.

ეგ მით უფრო, რომ ყველანი თანახმანი ვართ: სადაც კურნიკოვამ დაიკვეხნოს, იქ მაშასიც უნდა დაიწეროს!

ლევან კელაურაძე

რევიზია მყინვარწვერზე

თბილისის უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოცენტის, 35 წლის გიორგი ნიკოლაძის მეთაურობითა და თაოსნობით 1923 წლის 28 აგვისტოს მყინვარწვერზე 18-კაციანი ჯგუფის ასვლამ სათავე დაუდო მთელს საბჭოთა ალპინიზმს. მას შემდეგ 80 წელი გასულა და ახლა თბილისის უნივერსიტეტელები და სხვებიც ამ თარიღს აღვნიშნავთ. აღვნიშნავთ არა იმისთვის, რომ საბჭოთა დროებას მივტირით, არამედ იმიტომ, რომ ეს თარიღი საქართველოში მთამსვლელობის დასაწყისად ითვლება. მაგრამ ახლა, ამ საიუბილეო დღეებში ჭეშმარიტების დასადგენად და ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად მინდა იმ უდავოდ ღირსსახსოვარ ექსპედიციას ერთგვარი რევიზია ჩავუტარო და საიუბილეო დღედ 28 კი არა, 25 აგვისტო გამოვაცხადოთ, ხოლო ქართული, თუ გნებავთ, საბჭოური მთამსვლელობის აკვნად მყინვარწვერის (5038 მ) ნაცვლად გაცილებით დაბალი შინო (3850 მ) მივიჩნიოთ. თუმცა, რევიზიის აზარტში შესული იქნებ ამასაც არ დავჯერდეთ და ქართული მთამსვლელობის ისტორია ვინძლო სამიოდე დღის ნაცვლად წლებითა და საუკუნეებითაც დავაბეროთ.



მყინვარწვერი

ცხადია, ეს საქმე თავად მთამსვლელობასაითვ ძნელი, მძიმე და სახიფათოლო იქნება. შესაძლოა, ისეთი კრიტიკა დამატყდეს ზვავივით, რომ სამთო თემატიკისკენ აღარასოდეს გავიხედო. ან იქნებ პირიქითაც მოხდეს და ამ საქმეში შერჰებივით ძლიერი მხარდამჭერნი გამომიჩნდნენ და მათთან ერთად ისტორიაც გადავაბრუნოთ.

ერთი სიტყვით, წარსულს გადავხედოთ და გავიხსენოთ, რომ ადამიანები მთაში უხსოვარი დროიდან დადიოდნენ. ასე იყო ჩვენშიც და უცხოეთშიც, მაგრამ ვინც იმ შორეულ წლებში მწვერვალზე ასულა, ყველა მთამსვლელი არ ყოფილა ისევე, როგორც ყველა ავტომოყვარული არ გახლავთ ავტომრბოლი. ერთნი იქ, მარადთოვლიან მწვერვალებზე საბრძოლო მიზნებით ასულან, მეორენი სამშვიდობო მისიას — სამეცნიერო კვლევა-ძიებას აუყვანია იქ. ზოგიც ღმერთთან მიახლოების წადილს, იქ ლოცვის სურვილს ან, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობას აუყვანია მწვერვალზე, ზოგიც ნადირს დადევნებული აღმოჩენილა იმ სიმაღლეზე. მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც მთაში სპორტული აზარტის გამო ადიოდნენ და ამ საქმეს ხშირად სხვა რამ მიზანსაც უთავსებდნენ.

მყინვარწვერზე გიორგი ნიკოლაძის ჯგუფიც სპორტული მიზნით ავიდა. 1924 წელს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მოამბეში გამოქვეყნებულ თავის ჩანაწერებში („პირველი ქართული ასვლა მყინვარწვერზე“) გიორგი ნიკოლაძე გვაუწყებს:

„ჩვენ ჯგუფს მიზნათ აქვს საქართველოს ყველა მხარეების გაცნობა. უკვე ხუთი წელიწადია, რაც ჩვენ ამ მიზანს თანდათან ცხოვრებაში ვატარებთ. კავკასიონის ქედის მწვერვალებმა დიდი ხანია მიიპყრეს ჩვენი ყურადღება. მათი ძნელად გასავლელი და სახიფათო კლდოვან-ყინულოვანი ბილიკები გვიზიდავდნენ. ამ მიუვალ მწვერვალთ შორის მყინვარ-წვერი (მყინვარი, აგრეთვე ყაზბეგი) რაღაც მიუწვდომელ, შორეულ, მაგრამ მშვენიერ ოცნებათ გვეჩვენებოდა.

მაღალ მთებზე ასვლების სხვადასხვა აწერილობათა წაკითხვის შემდეგ ერთი საკითხი გვებადებოდა: რატომ არის, რომ ინგლისელები, გერმანელები, რუსები ახერხებენ მაღალ მწვერვალებზე ასვლას, ჩვენ ქართველები კი, რომლებსაც ჯომარდობის (სპორტის) სხვადასხვა დარგში დიდი უნარი გამოგვიჩენია, მთასვლაში კი (ე.ი. ალპინიზმში) აქამდის სრულიად არაფერი გაგვიკეთებია. „თუ სხვებს შეუძლიანთ, ჩვენ მით უფრო შეეძლებთ, რადგან ჯომარდობაში დახელოვნებული ვართ“, ვფიქრობდით და ამიტომ თვით მყინვარ-წვერზე ასვლა განვიზრახეთ.“

მაგრამ იმ მიზნის მისაღწევად დიდი სამზადისი იყო საჭირო და გიორგი ნიკოლაძეც თავის გუნდთან ერთად ემზადებოდა.

მახსოვს გადამდგარი ადმირალის მიხეილ ჭინჭარაძის მოგონება, რომელიც მყინვარწვერზე იმ ასვლისას 18 წლის იყო:

„გიორგი ნიკოლაძე ხშირად გვკრიბავდა უნივერსიტეტის სტუდენტებს, „შევარდენის“ წევრებს, სხვა ახალგაზრდობას და ლაშქრობებში დავყავდით. ამგვარ მოგზაურობებს „გაფრენებს“ ვეძახდით. ერთ-ერთი ასეთი „გაფრენის“ შემდეგ გიორგიმ შემოგვაპარა, მოდით, მყინვარწვერზე ვცადოთ ასვლაო“...

გიორგი ნიკოლაძეს ისიც კარგად ესმოდა, რომ მყინვარწვერამდე სხვა, უფრო იოლ მწვერვალზე იყო საჭირო თავის გამოცდა, იქ გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავება, მთის ხასიათზე დაკვირვება და ამგვარად გამოცდილების მიღება. ამ მიზნით ყაზბეგში ასული გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციის წევრებმა ჯგუფ-ჯგუფად სამთო ტურისტული ლაშქრობები განახორციელეს, ერთმა პატარა გუნდმა კი შინოზეც სცადა ასვლა, მაგრამ ამაოდ გაისარჯა.

იქიდან დაბრუნებულებმა დაასკვნეს, რაკი შინოზე მიზანს ვერ მივაღწიეთ, მყინვარწვერზე ყოვლად შეუძლებელი იქნება ასვლაო. გულგატეხილთა გამხნევებას გიორგი ნიკოლაძე შეეცადა, როცა უთხრა, ეს ალბათ ჩვენი გამოუცდელობის შედეგია და მე ამის დასამტკიცებლად თავად შევეცდები შინოს წვერზე ასვლასო.

„მეორე დღეს მე წინდაწინვე ცეისის შორსსათვალით (ბინოკლი) შინოს-წვერზე ასასვლელი გეზი ავირჩიე (ვინაიდან, სტეფან-წმინდიდან მთელი გზა სჩანს) და ზოგიერთი ჩვენგანი გაუდგა გზას — იხსენებს თავის დღიურში გიორგი ნიკოლაძე — ჩვენთან ერთად წამოვიდა ის ხუთი და, რომელთაც მყინვარ-წვერზე ასვლა განეზრახათ.

ჩვენ მიერ არჩეული გზა ბალახიან ფერდობზედ მიდიოდა, რომლის დახრილობა, დაახლოვებით ერთნაირი იყო და, თითქმის, 60 მენაკს უდრიდა. თანახმად მაღალ მთებზედ ასვლის თეორიისა, თავიდანვე ნელის ნაბიჯით დავიწყეთ ასვლა და ასე, ნელი სიარულით, მწვერვალამდის ავედით.“

შინოზე გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით პირველამსვლელები აღმოჩნდნენ: მარო ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, ლიდია ჩხეიძე, გოგი ტოროშელიძე, პავლე რომანკევიჩი და შვედი კურტ პაკენდორფი. ამათგან გიორგი ნიკოლაძე ყველას ქართველად მოიხსენიებს, პაკენდორფს კი — შვედად.

მართალია, მათთვის შინოზე ასვლა მყინვარწვერზე სალაშქრო სამზადისი იყო, მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ისინი თავიანთ პირველ მწვერვალზე მხოლოდ და მხოლოდ სპორტული მიზნით ავიდნენ. ამდენად, ქართული (და საბჭოთა) ალპინიზმის დაბადების დღეც სწორედ 25 აგვისტო უნდა მივიჩნიოთ — ის დღე, როცა ხუთი მთამსვლელი ... ავიდა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, მწვერვალი ხუთმა დალაშქრა თუ თვრამეტმა, მნიშვნელობა არც მწვერვალთა სიმაღლეს აქვს. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ქართული ალპინიზმის დაბადების დღედ კავკასიონისა და საერთოდ ევროპის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე (5620 მ) ასვლა ჩაითვლებოდა, რაც ასევე გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით 19-კაციანმა გუნდმა (მათ შორის, როგორც მყინვარწვერზე, 5 ქალმა) 1925 წელს განახორციელა.

მაგრამ ახლა, სანამ ისტორიის შეცვლაში თანამოაზრენი გამოგვჩენი და ვიდრე მყინვარწვერზე 1923 წლის 28 აგვისტოს ასვლა ითვლება ქართული ალპინიზმის სათავედ, რასაც სწორედ დღეს შეუსრულდა 80 წელი, უნდა გავიხსენოთ ისინიც, ვინც მაშინ კავკასიონის ამ ერთ-ერთი ულამაზესი მწვერვალიდან გადმოიხედა.

ესენი არიან: „დები“, როგორც გიორგი ნიკოლაძე ქალთა რაზმის წევრებს მოიხსენიებს: მარო ბეჟანიშვილი, ელიკო ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარო ტყავაძე, ლიდა ჩხეიძე; „ძმები“ — ატო აღნიაშვილი, ჟორა ალიხანოვი, ფრიდრიხ ბაუმჰაუერი, სანდრო კილაძე, შაქრო მამამთავრიშვილი, მიხეილ მათიაშვილი, ვასილ მჭედლიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, კურტ პაკენდორფი, მიხეილ ჭინჭარაძე და მათი გამყოლები აბზი ბუზურთანოვი და იაგორ კაზალიკაშვილი.

გიორგი ნიკოლაძე მყინვარწვერზე ასვლას ასე იხსენებს თავის დღიურში:

„ბოლოს აღმართი ცოტა შემცირდა. ეს — მწვერვალია. მოწინავეებმა საფეხურების ჭრას თავი დაანებეს და პირდაპირ ზევით აირბინეს. ამ უკანასკნელ წუთში შვედელი ძმა კურტი, როცა მას ორი ნაბიჯი-ღა რჩებოდა, ღონე მიხდილი ყინულზე პირდაღმა დაეცა, მაგრამ მაშინვე მივარდნენ, დაზილეს და მალე მოაბრუნეს. ბოლოს ნელნელა დანარჩენებიც აცოცდნენ; ყველაზე უკანასკნელი მე ავედი.

მაშ მიზანი მიღწეულია, „მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა“, როგორც ასმათმა წინა დღეს შევარდენის ბუდეში აღნიშნა. აღსრულდა მრავალი წლის ოცნება! მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალეთ დაგვირგვინდა! ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. შეშლილებივით „ვაშას“ ვიძახდით, ვყვიროდით, ვიცინოდით. მე იაგორას მივვარდი და გადავკოცნე. ატოს ორი ვაშლი ამოეტანა. ეს ვაშლები დიდი ამბით შევჭამეთ.

როგორ ავწერო ადამიანის სულიერი მდგომარეობა მიუწვდომელ მწვერვალის მიღწევის დროს. ეს ხომ სრულიად შეუძლებელია. ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თითონ ყოფილა ასეთ წუთებში. უძლეველი სიძლიერის და სიამაყის გრძნობა მთელ არსებას იტაცებს.“



გიორგი ნიკოლაძე

მყინვარწვერიდან დაბრუნებული მთამსვლელები: პირველ რიგში — ასმათ ნიკოლაიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, მარო ბეჟანიშვილი, ვანო კუკავაძე, ლიდა ჩხეიძე, მიხეილ მათიაშვილი, ატო აღნიაშვილი; მეორე რიგში — ელენე ლორთქიფანიძე, შაქრო მამამთავრიშვილი, ჟორა ალიხანოვი, მარო ტყავაძე, სანდრო კილაძე, მიხეილ ჭინჭარაძე

ავთანდილ გურასაშვილი

დასასრული იქნება



REUTERS პარიზიდან

რომან კორძენოვსკიმ 50 კილომეტრი სარეკორდოდ გაიარა

იქ, სადაც ვერ დარბიან, სიარულიც საქმეა

მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოდის და მოდის დიდ სპორტსმენთა მარცხების ამბები. ძველ ჩემპიონებს ასაკი და ტრავმები მოსძალებიათ, მიდის დიდი მძლეოსნების თაობა...

ლეგენდარულ ეთიოპიელ სტაიერს ჰაილე გებრესელასიეს, პირტიტველა თანამემამულემ მოუგო 10 კილომეტრი...

100 მეტრის მეფემ მორის გრინმა ნახევარფინალურ გარბენში ტრავმა მიიღო, სხვისი ბილიკი გადაკვეთა და ფინალშიც ვერ გავიდა...

100 მეტრის მსოფლიო რეკორდსმენი ტიმ მონტგომერი კი გავიდა ფინალში, მაგრამ მხოლოდ მეხუთე იყო...

ამერიკელმა ჭოკით მხტომელმა სტეისი დრაგილამ ოდენ 4.60 მეტრი დაძლია და მთელი 15 სანტიმეტრით ჩამოუვარდა რუს ჩემპიონ სვეტლანა ფეოფანოვას...

წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრის მომგები ბერძენი კონსტანტინოს კედერისი ტრავმის გამო საერთოდ არ გასულა ნახევარფინალის სტარტზე...

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა, 100 თარჯებიანი მეტრის ხტუნია დედოფალმა გეილ დივერსმა კვალიფიკაციაც ვერ გაიარა, ხოლო 100 ჩვეულებრივი მეტრის ფინალში კი გავიდა, მაგრამ რად უნდა, შეიდივე გოგომ გაუსწრო...

საკმარისია, არა? სავსებით, და ამ ჯერზე ნურაფერს ვიტყვით მერიონ ჯონსზე.

მძლეოსნობის მამები ამ უსიამო მოვლენებმა საფუძვლიანად შეაშფოთა. ისინი ისედაც ჩიოდნენ, მძლეოსნობა სათანადო კონკურენციას ვერ უწევს სპორტის სხვა სახეობებსო და ახლა საერთოდ წაემურდლათ ხასიათი. საფრთხე საკმაოდ რეალურია, ვარსკვლავების ჩაქრობამ შეიძლება მძლეოსნობის პრესტიჟი დასცეს და ხალხსაც გული აუცრუოს. და ეს მაშინ, როცა სამძლეოსნო ტურნირები ისედაც მეჩხერად ავსებს ტრიბუნებს.

ამ საერთო პესიმიზმში მძლეოსნობის მახვშებს ყველაზე მეტად მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯის ეიმედებოდათ და 1500 მეტრის მაღრიბელმა დიდოსტატმაც არ დააღალატათ. კნაჭა ელ გურუჯი დაახლოებით 600 მეტრის მერე გაექცა ჯგუფს და თუმც ფრანგმა მეჰდი ბაალამ ბოლომდე კუდში ძლია, ჩემპიონმა მაინც შეინარჩუნა ჩემპიონობა. ჰიშამ ელ გურუჯი მიჯრით მეოთხედ გახდა 1500 მეტრის ჩემპიონი, რითაც აჯობა ასევე მაღრიბელს, წინათაობელ ალჟირელს ნურედინ მორსელს, ვისაც „მხოლოდ“ სამჯერ მოუგია კილომეტრნახევარი.

ჰიშამ ელ გურუჯი კი დღეს იმდენად აღემატება თანდისციპლინელებს, რომ „მეზობელ“ სახეობაში — 5000 მეტრში გადაუწყვეტია ფეხის მოსინჯვა და მართლა, ბარაქალა, თუკი იქაც მოიგო. არადა ერთ ტურნირში ერთდროულად 1500 და 5000 მეტრის მოგება პარიზის 1924 წლის ოლიმპიადაზე ფინელი პაავო ნურმის შემდეგ არავის მოუხერხებია.

ელ გურუჯი, უდავოდ ანთებული ვარსკვლავია, მაგრამ მარტო ის მძეოსნობას ვერ გაანათებს. ვერც მოზამბიკელი დევქალი მარია მუტოლა გახდება რამეს. კი ბატონო 800 მეტრში ის უბადლოა, მაგრამ მის სანახავად ხალხი სტადიონებზე რომ მივიდეს, მუტოლა, სულ ცოტა, მერიონ ჯონსივით ეშხს უნდა აკვესებდეს არადა სად მუტოლა და სად...

მაგრამ ხალხი არ დარჩა ინტრიგის გარეშე. ყველას აინტერესებდა რას იზამდა წარმოშობით კენიელი საიფ საად შაჰენი (3000 მეტრი წინაღობებით). ამ ჯელს, სანამ მშობლიური კენიის სახელით სირბილს იუარებდა და ყატარის დროშით ირბენდა, სტივენ ჩერონი ერქვა და კენიის ერთ-ერთი სიამაყეც იყო. ყოფილმა სტივენ ჩერონმა კენიის ნაკრებში უფროსი ძმა აბრაამი დატოვა. უფროსი ჩერონი თუმც მოხუცია, ახლაც რიგიანად გამოვიდა და მეხუთე ადგილიც დაიჭირა. ხოლო გაყატარელებულმა კენიელმა ჩემპიონა კიდეც. შაჰენი დაახლოებით შუა დისტანციაზე გაიჭრა წინ და მთელი ძალები დახარჯა მდევარ ჯგუფთან რაც შეიძელება მოზრდილი ინტერვალის შესაქმნელად. მაგრამ 3000, თანაც წინაღობებიანი მეტრი პატარა დისტანცია არაა, გაყატარელებული კენიელიც დაიღალა და ყოფილ თანამემამულეს ეზეიკლ კემბოის დაწევის უფლება მისცა, მაგრამ ბოლო სწორზე ისევ მან იმარჯვა და ნავთობის ქვეყანას ოქრო ჩაახუტა.

ბოლოს და ბოლოს დამყარდა მსოფლიო რეკორდიც. ორგანიზატორები რეკორდს, ცხადია, 100 მეტრში ინატრებდნენ, მაგრამ საერთო გაჭირვებაში არც 50 კილომეტრიანი სპორტული სიარულისა დაიწუნეს. ამ არცთუ პოპულარული სახეობის ბებერმა მგელმა პოლონელმა რობერტ კორჟენოვსკიმ ეს უგრძესი დისტანცია 3 საათში, 38 წუთსა და 3 წამში გაიარა და 36 წამი ჩამოაჭრა ძველ რეკორდს, რომელიც თავადვე დაუმყარებია შარშან მიუნხენში ევროპის ჩემპიონატზე.

26 აგვისტო

კაცები

3 000 მ წინაღობები

1 საიფ საად შაჰენი (ყატარი) 8 წთ 4.39 წმ
2 ეზეკილ კემბოი (კენია) 8 წთ 5.11 წმ
3 ელისეო მარიმი (ესპანეთი) 8 წთ 9.09 წმ

ბაღრის ტყორცნა

1 ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 69.69 მ
2 რობერტ ფაზეკასი (უნგრეთი) 69.01 მ
3 ვასილი კაპტუხი (ბელარუსი) 66.51 მ

400 მ

1 ჯერონ იანგი (აშშ) 44.50 წმ
2 ტირე ვაშინგტონი (აშშ) 44.77 წმ
3 მარკ რაქილი (საფრანგეთი) 44.79 წმ

ქალები

800 მ

1 მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1 წთ 59.89 წმ
2 კელი ჰოლმსი (ბრიტანეთი) 2 წთ 0.18 წმ
3 ნატალია ხრუშჩელიოვა (რუსეთი) 2 წთ 0.29 წმ

სამხტომი

1 ტატიანა ლებედევა (რუსეთი) 15.18 მ
2 ეტონე მბანგო (კამერუნი) 15.05 მ
3 მაგდელინ მარტინესი (იტალია) 14.90 მ

27 აგვისტო

კაცები

50 კმ სპორტული სიარული

1 რობერტ კორჟენოვსკი (პოლონეთი) 3 სთ 36 წთ 3 წმ
2 გერმან სკურიგინი (რუსეთი) 3 სთ 36 წთ 42 წმ
3 ანდრეას ერმი (გერმანია) 3 სთ 37 წთ 46 წმ

1 500 მ

1 ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 3 წთ 31.77 წმ
2 მეჰდი ბაალა (საფრანგეთი) 3 წთ 32.31 წმ
3 ივან პეშკო (უკრაინა) 3 წთ 33.17 წმ

ათჭიდი

1 ტომ პაპასი (აშშ) 8750 ქულა
2 რომან სებრლე (ჩეხეთი) 8634 ქულა
3 დმიტრი კარპოვი (ყაზახეთი) 8374 ქულა

ქალები

100 მ წინაღობებით

1 პერდიტა ფელისიენი (კანადა) 12.53 წმ
2 ბრიჯიტ ფოსტერი (იამაიკა) 12. 57 წმ
3 მიეშა მაკკელვი (აშშ) 12. 67 წმ

ბირთვის კვრა

1 სვეტლანა კრიველიოვა (რუსეთი) 20.63 მ
2 ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) 20.12 მ
3 ვიტა პავლიში (უკრაინა) 20.08 მ

400 მ

1 ანა გეკარა (მექსიკა) 48.89 წმ
2 ლორიან ფენტონი (იამაიკა) 49.43 წმ
3 ემი მბაკე თიამი (სენეგალი) 49.95 წმ

პატარა, მაგრამ არა მუშა სენტ კიტსი და როგორ?

ვინ წარმოიდგენდა რომ კიმ კოლინზი პარიზში 100 მეტრს მოიგებდა? მისი ფინალში გასვლა, რა თქმა უნდა, არავის გაკვირვებია — ბოლო-ბოლო, კოლინზი შარშანდელი ბრიტანიადის გამარჯვებულია და დრო და დრო, რაღაც მედლებიც მოუგია, ძლიერები დაუმარცხებია და ძლიერებში ყოფნა დაუმსახურებია. მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობა? ეს მოულოდნელი წარმატება იყო მისთვის

100 მეტრის ფინალის სტარტზე კოლინზი პირველ ბილიკზე გარიყულიყო. ფავორიტები, როგორც წესი, მე-4-5 ბილიკებზე დგანან, რათა უკეთ აკონტროლონ ხელმარჯვენა და ხელმარცხენა მეტოქენი... კოლინზი კი მეცამეტე გოჭივით გამოხტა და როგორც ფოტოფინიშმა გვიჩვენა პირველმა შეყო თავი ფინიშის ხაზში.

ახალგამომცხვარი ჩემპიონი კარგა ხანი აფრიალებდა უცნაურ დროშას, რა თქმა უნდა, სამშობლოს — სენტ კიტსის და ნევისის დროშას. ასეთი ქვეყნის არსებობა ალბათ იმ ხალხს სმენია, რომლებიც თავს ყველა ქვეყნის ცოდნას აძალებენ თავისი დედაქალაქებიანად.

როგორც საინფორმაციო ვებსაიტი როიტერი გვატყობინებს, სენტ კიტსი და ნევისი კარიბეთის ორ პატარა კუნძულზე დატეული ქვეყანაა მდიდარი ბუნებით და ღარიბი მობინადრეებით. სანამ ბრიტანეთის კოლონია იყო, სენტ კრისტოფერი და ნევისი ერქვა და 75 ათასამდე ძირითადად შავკანიანი ადამიანის სამშობლო იყო. მერე სახელი ოდნავ შეიცვალა, ხოლო მოსახლეობის ბარე ნახევარი ემიგრაციაში წავიდა.

კიმ კოლინზიც — დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სენტკისელი ტეხასში, ფორტ უორტში ცხოვრობს და ვარჯიშობს და იქიდან დადის შეჯიბრ-ჩემპიონატებზე. მშობელ კუნძულებზე თუმცა მხოლოდ 3 თვით ჩადის, იქ, ყველა იცნობს და ახლა კოლინზის წარმატებამ ლამის ამოაბრუნა ორივე კუნძული.

„ფინალი ღამე გაიმართა და მანამდე მობილურის დატენვა დამავიწყდა. ამიტომ ისე დავწექი დასაძინებლად, ვერც დედაჩემმა დამირეკა და ვერც ჩემი ქვეყნის მთავრობამ. დილითლა დამირეკეს შინიდან და მითხრეს ყველა გადარეულიაო. ჩვენთან ყველას არა აქვს ტელევიზორი, ჰოდა ზოგი მეზობელთან მიდიოდა, ზოგიც მაღაზიებში შედიოდა, რათა ჩემი ფინალი ენახა — გვიყვება კიმ კოლინზი — ახლა იქ ყველა ბედნიერია და ლუდს სვამს. ჩვენში ბევრს ლუდის ფულიც ძლივსა აქვს, მაგრამ იქ ახლა ყველა ამაყია. ჩემი ქვეყანა ძალზე პატარაა, რუკაზე არც ჩანს, მაგრამ ახლა ძალიან დიდი გახდა.“



REUTERS პარიზიდან

კიმ კოლინზმა თავისი ქვეყანა ქვეყანას გააცნო

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად მისი ოჯახი ხარობს, დედა და კიმის 10 და-ძმა. მას შემდეგ რაც კოლინზი ცნობილი სპორტსმენი გახდა და სამშობლოში მედლების ჩატანა იწყო, მთავრობამ მას სამოთახიანი ბინა აჩუქა, სადაც მისი დიდი ოჯახი ხალვათად გადანაწილდა.

ამაყობს თავად მსოფლიოს ახალი ჩემპიონიც, თან გამორჩეულად, რაკი ტანითაც და სახელითაც ამ პატარა კაცმა დიდი და ღონიერი ბიჭები დაამარცხა.

„მე ყველაზე ნატურალური სპრინტერი ვარ მსოფლიოში — ამბობს კოლინზი — მე არ ვექაჩები სიმძიმეებს, არ ვყლაპავ ვიტამინებს და არ ვლეჭავ რკინას. რაც მაქვს, ბუნებას მოუცია და რაც მოუცია, ესაა ნატურალური სხეული, რომელმაც უნდა ირბინოს და ვარჯიშში არ უნდა ჩაკვდეს.“

ზარმაცობს თუ მართლა არ სჭირდება ვარჯიში? ყოველ შემთხვევაში, კიმ კოლინზი დღეს მსოფლიოს ჩემპიონია და ის კაცია, ვინც თავისი ჯუჯა და ოთხივე მხრიდან ზღვით შემოვლებული ქვეყნის სახელი მსოფლიოს ბევრ ადამიანს გააგონა. პარიზმა მოისმინა სენტ კიტსის და ნევისის ჰიმნი, ხოლო იქ კარიბეთში ხალხი ახლაც ზეიმობს. ამ ყველაფერზე გაცილებით დიდი და პრეტენზიული ქვეყნები ოცნებობენ.

ირაკლი ფირაშვილი

REUTERS პარიზიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

პარიზული ამბები



REUTERS პარიზიდან

ეს პარიზული თავის აქნევაა. ორას მეტრზე გარბენის წინ ამერიკელი ალისონ ფელიქსის ჩაწნულობასაც მიაქცევ ყურადღებას. პარიზის სენ დენიზე სუნთქი აღარ არის, მძლეოსანთა მეცხრე მსოფლიო ჩემპიონატი დიდებული საჭვრეტია. ტრიუმფალური თაღის წინ კი ხარობს პაწაწინა ქვეყნის, სენტ კიტსის შვილი კიმ კოლინზი, რომელსაც ეს მეტრზე რბენაში ოქროს მედალი მოუგია და ყველა ამერიკელი ფავორიტი დაუმარცხებია. ფოტოგრაფებს კი ძალიან ბევრი საქმე აქვთ — დაბრკოლებებზე რბენის ყველაზე თვალსაჩინო ფოტოები სწორედ იმ ადგილას გამოდის, სადაც მორბენლები გუბურას უნდა გადაახტნენ.

სან ხუანის სიხარული

სან ხუანში კვლავაც გრძელდება ათენის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი კალათბურთში ამერიკის ეროვნულ ნაკრებებს შორის. „კაპიტალ დელ დეპორტეს“ დარბაზში ხარობს მასპინძელ პუერტორიკოელთა თიმისმა „ჯეი-ჯეი“, რადგან მათ ეროვნულ გუნდს დომინიკელებისთვის მოუგია 94-61.



REUTERS სან ხუანიდან



REUTERS სანქტ პეტერბურგიდან

ქალებიც გაუბერიათ

პეტერბურგს ახლო, ლოსევოში, მდინარე ვოკსას წყალში გამართულა ხალისიანი შეჯიბრი, მოცურავეებს გასაბერ ქალებთან, რუსულად „ბაბებთან“ ერთად უნდა გაეცურათ. მერე რაღას იზამდნენ, აღარ ვიცით, გაცურვით კი გაუცურავთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მიშუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარვანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge